ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 13 – 14 ოქტომბერი, 2018

№243 (7788)

ფასი: 60 თეთრი

დავით დარჩიაშვილი: „მეორე ტური გარდაუვალია, თუ მასობრივი დარღვევები არ იქნება“

„ეს ხელისუფლება ფარცხალაძის საქმეს არ გამოიძიებს“

გვ.5

დემურ გიორხელიძე: „ლარის ნახტომისებურ ვარდნას არ ველოდები“

„ჩვენ ვართ იმპორტის მარწუხებში და ამიტომ არის ეს ყველაფერი ასე მგრძნობიარე“

გვ.6

„ზაზა ოქუაშვილი იგორ გიორგაძის მძლოლი იყო“

გვ.5

გვ.7

საბერძნეთში ქართველი ემიგრანტი სოფო წიკლაური მოკლეს

„სოფო ნაწამებია, ხელის მტევნები აქვს მოტეხილი, სახეზე სიგარეტის ნამწვავები ჰქონდა... ბავშვი დივანზე უგონოდ ეგდო, ძაღლი კი სახეს ულოკავდა“

„სააკაშვილი ცალი ფეხით უკვე დაბრუნებულია“

„ოცნებაში“ ერთმანეთს ფარული ჩანაწერებით აშანტაჟებენ“

გვ.3

ჩასვამენ თუ არა გუკა რჩეულიშვილს ისევ ციხეში

მარინე ცუცქირიძე: „ოქტომბერში საპროცესო შეთანხმება უნდა გაფორმდეს“

გვ.2

გვ.2

ირმა ინაშვილი: „მოვუწოდებ „ოცნებას“, დაასრულოს კოაბიტაცია დამნაშავეებთან“



„უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა რუსეთისთვის დიდი დარტყმაა“

„ქართულმა ეკლესიამ პოზიცია მსოფლიო კრებაზე უნდა გამოხატოს“

გვ.4

გვ.2

სუსმა თურქეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე დააკავა

სამართალი გვ.7

პროკურორი: „ვეფხია ბაქრაძე თაკო გამრეკელაშვილის შვილს დედამისის მკვლელობაში მონაწილეობას სთავაზობდა“

„გვამი ბრეზენტის ქსოვილში გაახვიეს და რიონში გადააგდეს“

სასამართლომ დამნაშავედ 2 პირი ცნო

ეკონომიკა გვ.6

რა ქონებით დატოვა პოსტი ქვეყნის ყველაზე მაღალანაზღაურებადმა თანამდებობის პირმა



„მსოფლიო ბაზარზე სამედიცინო მარიხუანის პროდუქციის მოთხოვნის 1% საქართველომ რომ დააკმაყოფილოს, ქვეყანაში დიდი შემოსავალი იქნება“

გორის რაიონში თაფლის გადამამუშავებელი ყველაზე დიდი საწარმო შენდება

ISSN 1987-9385

3 დავით ბეგიაშვილი: „ქვეყანაში ბიზნესმენებთან ხელისუფლების მხრიდან არაფორმალური ურთიერთობები არსებობს“

4 რა ღირს მინის ნაკვეთები თბილისში და რატომ შემცირდა მოთხოვნა

3 საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი ერთ თვეში 105 მლნ ლარით გაიზარდა

4 კაზინო „არაგვის“ ნაცვლად მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობით ინვესტორები ინტერესდებიან, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიდის

ჩასვამენ თუ არა გუკა რჩეულიშვილს ისევ ციხეში

მარინე ცუცქირიძე: „ოქტომბერში საპროცესო შეთანხმება უნდა გაფორმდეს“

ნონა ცაბაძე

გავრცელდა ინფორმაცია, რომ თუკი 4 ნოემბრამდე „ცენტრ პოინტის“ საქმეზე საპროცესო შეთანხმება არ გაფორმდება, გუკა რჩეულიშვილი, შესაძლოა, საპატიმროში დაბრუნდეს.

როგორც უკვე ცნობილია, „ცენტრ პოინტმა“ ხელშეკრულება გააფორმა სამშენებლო კომპანია „ემ კვადრატთან“ და დაზარალებულებსაც სწორედ „ემ კვადრატი“ დააკმაყოფილებს. იყო მოლოდინი, რომ პროცესი ოქტომბრის დასაწყისს არ გადასცდებოდა, თუმცა, ჯერაც არ არის ცნობილი, როდის მოხდება საპროცესო შეთანხმება და გამოუშვებენ თუ არა მაია რჩეულიშვილსა და რუსუდან კერვალიშვილს.

„ახალი თაობა“ აღნიშნულის გასარკვევად რჩეულიშვილების ოჯახის ადვოკატ **მარინე ცუცქირიძეს** ესაუბრა.

– ქალბატონო მარინე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა გუკა რჩეული შვილი კვლავ საპატიმროში აღმოჩნდეს. რატომ. რა შეიცვალა?

– არაფერი არ შეცვლილა, ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით. რატომ გაჩნდა ეს ინფორმაცია, არ ვიცი. მიწა, რომელიც უნდა გადავცეთ „ემ კვადრატს“, უკვე მზად არის გადასაცემად, უკვე დამტკიცებულია, რომ უნდა გადაეცეს და მხოლოდ უმნიშვნელო ტექნიკური დეტალი დარჩა. შემოდის „ემ კვადრატი“ და ხუთ ობიექტზე იწყებს მშენებლობას.

– მაშინ რას უკავშირებთ ამ ინფორმაციის გავრცელებას?

– შესაძლოა, იმიტომ გაჩნდა ეს ინფორმაცია, რომ საპროცესო შეთანხმებისთვის გაიწელა დრო. არც მე ვიცი მიზეზი, თუ რატომ გაჩნდა. ჩვენ ამ საკითხზე არ ვფიქრობთ და, იმედი გვაქვს, რომ ეს არ მოხდება. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე დღის წესრიგში ეს საკითხი არ დგას.

– ბათუმის „მაგნოლიას“ უკავშირდებაო...

– დიახ, ბათუმის „მაგნოლიაზე“ უკვე ბევრჯერ გადაიდო შეთანხმების პროცესი და, შესაძლოა, ამიტომაც გაჩნდა ეს ინფორმაცია, რომ თუ ვერ შედგა ეს შეთანხმება, შესაძლოა, დაეპატიმრონო, მაგრამ, შემიძლია ზუსტად გითხრათ, რომ ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ამ თემაზე.

საპროცესო შეთანხმების ვადები იწურება, ცოტა დრო დაგვრჩა და მოსამართლე გვაჩქარებს, რომ სწრაფად მოხდეს შეთანხმების გაფორმება. შესაძლოა, ამანაც გამოიწვია ამ ხმების გავრცელება, ხოლო რეალურად რაიმე ისეთი პრობლემა არ არსებობს.

– ანუ, თუ ვერ მოესწრო საპროცესო შეთანხმება კონკრეტულ ვადებში, იმ შემთხვევაში დააბრუნებენ გუკა რჩეული შვილს საპატიმროში?

– სასამართლოს აქვს თავისი ვადები და ამ ვადებში უნდა ჩავეტიოთ, მაგრამ, მე ვერ გეტყვით, რომ ეს ვადა უკვე ამოიწურა. უბრალოდ, მოსამართლემ შეგვახსენა, რომ ცოტა სწრაფად გავაფორმოთ საპროცესო შეთანხმება. ჩვენც დავაჩქარეთ პროცესები. ადრეც სწრაფად ვაკეთებდით, რა თქმა უნდა, მაგრამ ძალიან ბევრი ბიუროკრატიული მექანიზმია მერიაში და სხვადასხვა სტრუქტურაში, ამ ყველაფერს დიდი დრო მიაქვს. ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული.

ეს პრობლემაა მხოლოდ და მხოლოდ. დიდი იმედი გვაქვს, რომ ვადებში ჩავეტევით.

– სექტემბრის მეორე ნახევარში გუკა რჩეული შვილი თამამად აცხადებდა, რომ ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და მაია რჩეული შვილისა და რუსუდან კერვალიშვილის გათავისუფლების საკითხი ოქტომბრის დასაწყისს არ გადასცდებოდა. ამ კუთხით რა ხდება?

– ეს ყველაფერი ერთი მთლიანობაა. ერთიანად უნდა გაკეთდეს ყველა საქმეზე საპროცესო შეთანხმება. მაია, რუსუდანი და გუკა – სამივეზე ერთიანად მზადდება საპროცესო, ცალკე გუკაზე კი არ ვაკეთებთ, ერთიანად უნდა გადაიჭრას ეს პრობლემა.

ჩვენ იმედი გვქონდა, რომ სექტემბრის ბოლოს ამ მიწის გადაცემას მოვახერხებდით, „ემ კვადრატი“ შემოვიდოდა, საშუალება მოგვეცემოდა, საპროცესო გაგვეფორმებინა და ამით დასრულდებოდა ყველაფერი, მაგრამ ვერ მოვახერხეთ მიწის გადაცემა.

– რატომ, რამ შეგიშალათ ხელი?

– ჯერ რაღაცა სხდომებზე იყო ეს საკითხი გასატანი, საკრებულოში, რაღაც სხვადასხვა ბიუროკრატიული მექანიზმი იყო, რომლებიც, სამწუხაროდ, ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ეს არის მერიისა და სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს გასაკეთებელი საქმეები და ეს ყველაფერი დროში ძალიან გაიწელა.

მერწმუნეთ, სხვა პრობლემა არ ყოფილა. მზაობა არის ორივე მხრიდან – შეთანხმდნენ „ემ კვადრატიც“ და „ცენტრ პოინტიც“ და მეტი რა გითხრათ.

პროკურატურიდანაც არის გვერდში დგომა, გველოდებიან, გვეხმარებიან. ჩვენზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, აქამდე ყველაფერს გავაკეთებდით, მაგრამ ძალიან ბევრი რამე ადმინისტრაციულ ორგანოებთან არის გასაკეთებელი და მას თავისი ვადები აქვს. ახლა ჩვენ გამოკანონში ცვლილებას ვერ შეიტანენ და ამ ვადებს ვერ შეამცირებენ.

– სავარაუდოდ, რამდენ ხანს შეიძლება, რომ ეს პროცესი გაიწელოს?

– მე ვფიქრობ, ოქტომბერში ყველაფერი უნდა დამთავრდეს, რადგან სასამართლო 4 ნოემბერს არის ჩანიშნული.

ირმა ინაშვილი: „მოვუწოდებ „ოცნებას“, დაასრულოს კოაბიტაცია დამნაშავეებთან“

შორენა მარსაგიშვილი

პატრიოტთა ალიანსმა, როგორც იქნა, მოამზადა რეზოლუცია, რომელიც ახლო მომავალში პარლამენტს წარედგინება. რეზოლუციამდე ალიანსელებმა ხალხში ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. ისინი ყოფილი ხელისუფლების გასამართლებას ითხოვენ.

როგორც პატრიოტთა ალიანსში ამბობენ, ისინი ამ თემაზე მილიონი ხელმოწერის შეგროვებას შეძლებენ, მაგრამ უნდათ, რომ მათი გასამართლების გადაწყვეტილება პარლამენტმა მიიღოს, სადაც „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავს.

„ოცნებამ“, წესით, დიდი ზარზეიმით უნდა დაუჭიროს ამ რეზოლუციას მხარი, რადგანაც პარტიის ლიდერები ხშირად აპელირებენ სისხლიან 9 წელზე. ზოგჯერ ისე შედიან ეშხში, რომ ავიწყდებათ, ამ 9 წლის განმავლობაში თავადაც ნაცმოძრაობაში იღერებდნენ ყელს.

პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტის ვიცესპიკერმა ირმა ინაშვილმა საგანგებოდ მიმართა კოლეგებს უმრავლესობიდან და მათ გაბედული ნაბიჯის გადადგმისკენ მოუწოდა.

– საქართველოს პარლამენტის წევრებო, „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობის წარმომადგენლებო!

მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტი განიხილავს „საქართველოს პატრიოტების“ მიერ მომზადებულ რეზოლუციას, რომელიც ითვალისწინებს საკაშვილ-ბოკერიას მმართველობის სამართლებრივ-პოლიტიკურ შეფასებასა და ამ მმართველობის დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადებას.

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც პირდაპირ შეგვეხო ამ დანაშაულებრივი რეჟიმის სისასტიკე;

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, რომელთა შვილებსაც ეს რეჟიმი უმოწყალოდ გაუსწორდა და ბევრი გახმაურებული თუ გაუხმაურებელი საქმე ჯერ კიდევ არაა გამოძიებული;

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ვიყავით რეჟიმის უკანონო პატიმრები;

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც საკაშვილ-ბოკერიას რეჟიმმა ფიზიკურად დაგვასახიჩრა;

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც საკაშვილ-ბოკერიას რეჟიმი მშვიდობიანი მანიფესტაციების დროს გვარბევდა;

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც საკაშვილ-ბოკერიას რეჟიმი გვაცხადებდა „ქვეყნის მტრებად“ და „ჯაშუშებად“;

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც ხსენებულმა დანაშაულებრივმა რეჟიმმა დაგვაკარგვინა ქართული მიწების 22%;

მივმართავთ საქართველოს პარლამენტს, საკონსტიტუციო უმრავლესობას, „ქართული ოცნების“ ყველა იმ დეპუტატს, რომელიც 2004-2012 წლებში დაპირისპირებული იყო საკაშვილ-ბოკერიას რეჟიმთან და ჩვენთან ერთად იბრძოდა თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის:

თუ საქართველოს პარლამენტი სამართლებრივ-პოლიტიკურ შეფასებას არ მისცემს საკაშვილ-ბოკერიას მმართველობას, თუ 6 თვის ვადაში არ დაიწყება ამ რეჟიმის ორგანიზატორების მიერ ჩადენილი დანაშაულებების ფუნდამენტური გამოძიება, ჩვენ ვერ შევძლებთ სამართლებრივი, დემოკრატიული, თავისუფალი და ზნეობრივი სახელმწიფოს აშენებას.

მოგიწოდებთ „ქართული ოცნების“ ყველა დეპუტატს:

მხარი დაუჭირეთ „საქართველოს პატრიოტების“ მიერ განსახილველად წარმოდგენილ რეზოლუციას, გაითვალისწინეთ საქართველოს იმ 300000 მოქალაქის მოთხოვნა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ რეზოლუციას!

მოგიწოდებთ, გამოავლინოთ გაბედულება, სახელმწიფოებრივი, ეროვნული, მოქალაქეობრივი აზროვნება და ამ რეზოლუციით ერთხელ და სამუდამოდ დავასრულოთ ქვეყანაში ე.წ. კოჰაბიტაცია დამნაშავეებთან, – მიმართა საზოგადოების სახელით ხელისუფლებას ინა შვილმა.

მათ რეზოლუციასა და ბოკერიაზე საუბარი ინაშვილის გასამართლების მოთხოვნას გუშინ ბევრი ცნობადი სახე შეუერთდა.

მათ შორის იყო წინა რეჟიმის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლის, სულხან მოლაშვილის მამა, თამაზ მოლაშვილი. ის ამბობს, რომ მისი შვილის წამებისთვის არავის უგია პასუხი.

თამაზ მოლაშვილის მსგავსად, რეზოლუციას შეუერთდა ყოფილი პოლიტპატიმარი ნორა კვიციანი. მას ნაციონალებმა 6 წელი გაატარებინეს ციხეში. ნორა კვიციანი დღეს სასამართლოს მიერ გამართლებულია. მისი აზრით, ნაციონალებმა ყველა დანაშაულზე პასუხი უნდა აგონ.

ამავე აზრზეა ყოფილი ნაციონალი კობა დავითაშვილიც. ყოფილმა ხელისუფლებამ არც მას დააკლო რამე. 2007 წელს ის სასწაულად გადაურჩა სიკვდილს.

ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ ამ რეზოლუციას ელენე თევდორაძე შეუერთდა და ნაციონალების დასჯას ისიც ითხოვს.

სუსმა თურქეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თაღლითობის მცდელობისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისა და გასაღების ფაქტებზე თურქეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე: თალჰა ო. და ჰუსეინ ჩ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულმა პირებმა სპეციალური ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, შემდგომი გასაღების მიზნით, დაამზადეს საქართველოს ბინადრობისა და მართვის ყალბი მოწმობა და თურქეთის მოქალაქეს 1600 აშშ დოლარად მიჰყიდეს.

გამოძიება თაღლითობის მცდელობისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისა და გასაღების ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 19-180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

თურქეთში დაკავებული ამერიკელი პასტორი პატიმრობიდან გათავისუფლდა

პასტორი ენდრიუ ბრენსონი, რომელსაც თურქეთში გადატრიალების მოწყობის მცდელობასა და ქურთისტანის მუშათა პარტიის მხარდაჭერას სდებენ ბრალად, გათავისუფლებულია.

სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო და 3,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა ჯერ ციხეში, შემდეგ კი შინაპატიმრობაში გატარებული დრო გაითვალისწინა და გაათავისუფლა.

ბრენსონი დაპატიმრების დღიდან ყველა ბრალდებას უარყოფდა. მისი დაკავება ამერიკასა და თურქეთს შორის ურთიერთობის უკიდურესი დაძაბვის მიზეზი გახდა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სააკაშვილი ცალი ფეხით უკვე დაბრუნებულია“

„ოცნებაში“ ერთმანეთს ფარული ჩანაწერებით აშანტაჟებენ“

შორენა მარსაგიშვილი

ჯელალ ქიქავა: „როგორც პატარძალს არ ასცდება, ისე კორუმპირებულ ჩინოსნებს არ ასცდებათ 28 ოქტომბრიდან გაპარსვა“

რა ჩანაწერები მიაქვთ ხელისუფლების წარმომადგენლებს ტელევიზიებში, რას ნანობს სააკაშვილი, რა პირობით არ წაართვა პუტინმა ივანიშვილს ქონება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანობა და დემოკრატიის პრინციპების“ ხელმძღვანელი ჯელალ ქიქავა ესაუბრება.

ჯელალ ქიქავა:

– ჩვენს საზოგადოებას სკანდალები არასდროს აკლდა, მაგრამ მინდა მოემზადოს ხალხი – მთავარი სკანდალი წინ გველოდება. დარწმუნებული ვარ, რომ ახლო მომავალში ივანიშვილის ხმასაც მოგვასმენინებენ. ამგენს, სულ მცირე, ორი „მეშოკი“ ჩანაწერი მაინც ექნება გადანახული.

– რა თემაზეა ეს ორი „მეშოკი“ ჩანაწერები, რა თემაზეც ახლა ვისმენთ?

– ცხადია, მაგ თემაზეც იქნება, მაგრამ სხვა თემებიც არის განხილული ფარულ ჩანაწერებში, რომელთაც მალე გამოყრიან. ბოლოს ყველა ისეთი გატუტუცებულები იყვნენ, რომ რაღაცაში იყო საქმე.

ყიფიანისა და ფარცხალაძისნაირები ყველა ხელისუფლებას ჰყავდა და მაგათი ამბები ძალიან არ უნდა გაგვიკვირდეს. ჩხარტიშვილიც ამ კატეგორიაში გადის, მაგრამ, შევარდნაძის გარდა ის, ყველასთვის მიუღებელი იყო.

– ამ ხელისუფლებისთვის არ არის მიუღებელი.

– აგენი ხელისუფლებაა? აგენი არიან კორუმპირებულები და ბუნებით ავანტიურისტი ჩხარტიშვილი მიტომ ჰყავთ გვერდში.

– როცა ჩანაწერებზე საუბრობდით, ხელისუფლების წარმომადგენლებზე თქვით, ისე იყვნენ ბოლოს გატუტუცებული, რაღაცაში იყო საქმეო. შეგიძლიათ დააკონკრეტოთ, რა შია საქმე?

– გატუტუცებულები იყვნენ იმიტომ, რომ არაფრის აღარ რცხვენოდათ. არც იმის რცხვენოდათ, რომ ერთმანეთის ფარულად იწერდნენ. იციან, რომ მათ სუსიც უსმენს და იწერს, მაგრამ აღარც ამას ერიდებიან და თავიანთ გასაკეთებელს აკეთებენ.

– თავიანთ გასაკეთებელში რას გულისხმობთ?

– ფულს აკეთებენ. ესენი ყველა ფულისთვის მოვიდნენ ხელისუფლებაში. მეტი მაგათ არაფერი აინტერესებთ.

– თუ იციან, რომ სუსი მათ იწერს, როგორ მიდიან ყველაფერზე?

– ქვეყანა მათი ჰგონიათ და რატო არ წავლენ? თავაარია, ფული ჰქონდეთ. ჩანაწერები არ აშინებთ. ჩაწერით, როგორც გითხარით, ერთმანეთსაც იწერენ.

– წარმომიდგენია, რა ტიპის საუბრები იქნება ამ ჩანაწერებში, თუ მართლა იწერენ ერთმანეთს.

– მართლა იწერენ, ტყუილად კი არ გითხარით, კიდევ ორი „მეშოკი“ ჩანაწერი აქვთ შემონახული.

– რა ჯანდაბად უნდათ ეს ჩანაწერები?

– ერთმანეთი რომ დააშანტაჟონ. ერთმანეთის, იცით, როგორ ეშინიათ? ამათგან რომელიმე თუ „გაფუჭდა“, ეგრევე რუსთავი 2-ში გარბიან და იქ მიაქვთ ჩანაწერები.

– აკი რუსთავი 2-ს არ ვუყურებთო?

– როგორ არ უყურებენ? უკან ახვევენ და კიდევ ორ-სამჯერ უყურებენ. შეუძლიათ, არც უყურონ, მაგრამ ეს მათ არ უშველის. როგორც პატარძალს არ ასცდება, ისე ამათ არ ასცდებათ გაპარსვა. ესენიც ისე გადაიპარსებიან, როგორც შევარდნაძის მერე მოსულმა სააკაშვილმა გადაპარსა კორუმპირებულები. ეგენი ყველა გადასაპარსია და გადაიპარსებიან კიდევაც.

ესენი ისე უნდა ჩაპარსო, რომ თავი ვერასდროს წამოსწიონ და ხალხს ვერასდროს დაასხდნენ თავზე.

– სააკაშვილმა კორუმპირებულების გაპარსვის დროს ბევრი ბიზნესმენიც გაპარსა, რაც დაუშვებელია.

– ბიზნესის ხელის ხლება როგორ შეიძლება? ბიზნესს არავინ ერჩის. კორუმპირებულმა ჩინოვნიკებმა კი უნდა მიიღონ ის, რაც დაიმსახურეს.

– კორუმპირებულებს პასუხი უნდა მოსთხოვო, მაგრამ წარსული მწარე გამოცდილებიდან სხვა სურათი იხატება. ამ წარსულიდან გამომდინარე, „ოცნება“ ამომრჩეველს აშინებს, ჩვენ თუ წავალთ, ნაცები მოვლენ და ცუდ დღეში ჩავცვივდებითო. ეს ხალხზე ჭრის.

– ხალხზე აღარ ჭრის. ეს პეროიან და მანიკურიან ამომრჩეველზე ჭრის მარტო. თავის დროზე ეს პეროიანები სამართლიანად გაპარსეს. დღეს თბილისი იმფერვე კორუმპირებული ქალაქი გახდა, რაფერც ეს შევარდნაძის დროს იყო.

ისე ლაპარაკობენ 100. 200, 300 და 700 მილიონის მითვისებაზე, თითქოს არაფერი. ამდენი ფული რომ წაიღეს ბიუჯეტიდან, მაგიტომაც არაფერი არ კეთდება.

ბათუმის სტადიონის მშენებლობაზე თავიდან 99 მილიონი იყო ტენდერი. ახლა ეს ტენდერი 160 მილიონს შეადგენს.

– რას აშენებენ ამისთანას, ახალ „ალიანცს არენას“?

– რა ვიცი, რას აშენებენ. გეუბნებით, თავიდან 99 მილიონი იყო, ახლა გახდა 160 მილიონი. 160 მილიონი გახდა იმიტომ, რომ ყველამ მოითხოვა ფული.

– ვინ ყველამ?

– მინისტრმა, მოადგილემ... ყველამ, ვისაც ხელი მიუწვდებოდა.

– ამხელა თანხას რომ ხარჯავენ სტადიონზე, გუნდი მაინც თუ გყავთ?

– გუნდი როგორ არ არის, მარა ისეთი არა, რომ 160-მილიონიანი სტადიონი ააშენო. 160 მილიონად ახალ „მარაკანას“ ავაშენებ. როგორ შეიძლება, თავიდან ტენდერი გამოაცხადო 99 მილიონზე და მერე დაამატო 60 მილიონი. 10 და 15 მილიონი კიდევ შეიძლება, მაგრამ 60 მილიონი? ეს ნამეტანია.

არც ეს ქვეყანაა ჩალით დახურული და არც ჩვენ გვაქვს ფეზეუ დამთავრებული, რომ ციფრებში არ ვერკვეოდეთ. 60 მილიონი როგორ შეიძლება დაგაკლდეს პროექტზე.

– საქართველოში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

– საქართველოში არა, მაგრამ „ოცნების“ ხელში – კი. ყველაფერზე არიან წამსვლელები და არ გამოვრიცხავ, რომ არჩევნებიც გააყალბონ. არჩევნების გაყალბება თუ გაბედეს, ჩვენ ხალხს ქუჩაში გამოვიყვანთ და რევოლუციური გზით წავალთ.

– რას ჰქვია, რევოლიციური გზით წახვალთ, ჩვენთან ინტერვიუებში სულ იმას ამბობ-დით, რომ არეულობის წინააღმდეგი ხართ.

– ახლაც გაგიმეორებთ მრავალჯერ ნათქვამს, მე ქვეყანაში ყოველგვარი არეულობის წინააღმდეგი ვარ.

– რევოლუცია არ არის არეულობა?

– როგორ არ არის. არც რევოლუციის მომხრე ვარ, მაგრამ ხელისუფლება არჩევნების გაყალბებაზე თუ წავა, ჩვენ იძულებული ვიქნებით, წავიდეთ რევოლუციური გზით.

– ვთქვათ, წახვედით რევოლუციური გზით, ვინ დაგიდგებათ გვერდით?

– ხალხი.

– დარწმუნებული ხართ?

– რა თქმა უნდა.

– ადამიანებს ნაციონალების დაბრუნებით აშინებენ და ისინი ნაციონალებს რევოლუციის მოწყობაში დაეხმარებიან?

– ხალხი დაიცავს საკუთარ ხმას. ნაციონალების დაბრუნების არავის აღარ ეშინია.

– არც სააკაშვილის?

– მიშა, ჩათვალეთ, რომ დაბრუნებულია.

– რანაირად?

– ერთი ფეხი უკვე აქ აქვს.

– მეორე ფეხს რატომ არ დგამს?

– მიშა რომ აქ შემოვიდეს, „ოცნება“ მაშინვე დამთავრდება.

– მაგისთვის არ იბრძვის? შემოვიდეს და დაამთავროს.

– არ გამოვა. ამას თავისებური არეულობა მოჰყვება. არეულობა საქართველოს არაფერში აწყობს. მიშა ელოდება არჩევნებს, რადგანაც იცის, რომ ის არჩევნების მერე დაბრუნდება, როგორც საქართველოს მოქალაქე. მას აუცილებლად დაუბრუნდება წართმეული მოქალაქეობა.

ბიძინა ივანიშვილს მაგარი ვერაგობა აქვს ჩაფიქრებული ამ არჩევნებზე, მაგრამ არ გამოუვა.

– რა ვერაგობა?

– სალომე ზურაბიშვილი არის შემოგდებული. „ოცნებას“ გათვლა აქვს დავით ბაქრაძეზე. ეს ორი კანდიდატი უნდა გადავიდეს მეორე ტურში, სადაც სალომე ბაქრაძის სასარგებლოდ მოხსნის კანდიდატურას.

– დარწმუნებული ხართ, რომ მოხსნის?

– დარწმუნებული ვარ.

– რატომ უნდა თქვას გაპრეზიდენტების შანსზე ზურაბიშვილმა უარი? ცოტა დაუჯერებელია.

– რა არის დაუჯერებელი? ესენი ყველანი არიან გაყიდულები. ყველა ივანიშვილს ჰყავს ნაყიდი და, რასაც ის იტყვის, ისე იქნება.

ეს იცის ხალხმა და ამიტომ აღარ დაიჯერებენ ზღაპრებს. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ხალხთან ყოველდღიური კონტაქტი მაქვს.

– ხალხი როგორ გხვდებათ?

– გადასარევად და სიხარულით.

– ეუბნებით, რომ სააკაშვილს უჭერთ მხარს?

– რა თქმა უნდა.

– და მაინც სიხარულით გხვდებიან?

– დიდი სიხარულით მხვდებიან.

– 9 წელიწადზე არაფერს ამბობენ?

– „ოცნების“ 6-მა წელმა ხალხს ნაციონალების 9 წელი დააავიწყა. ბიძინას თავისი დანაპირების ნახევარი მაინც რომ შეესრულებინა, ყველა მისი მხარდამჭერი იქნებოდა.

სისხლიან 9 წელზე ასე ხშირად რომ საუბრობენ, რატომ არ ამბობენ, სად ჰყავთ მთავარი დამნაშავეები. სად ჰყავთ და გვერდით. მეშვიდე წელია, ხელისუფლებაში არიან, რატომ არ აღადგინეს სამართლიანობა? იმიტომ, რომ მაშინ თავადაც უნდა ეგოთ პასუხი.

ხალხს ზურგი აქციეს და არჩევნებზე ხალხი მაგათ აქცევს ზურგს. ამდენის მოთმენა შეუძლებელია.

– შეიძლება, ხალხი აღშფოთებულია, მაგრამ სააკაშვილს არ დაუჭერენ მხარს.

– სააკაშვილი ამ არჩევნებში საერთოდ არ მონაწილეობს. სააკაშვილმა საჯაროდ აღიარა, რომ შეცდომები ჰქონდა დაშვებული. ამაზე მეც მესაუბრა.

– შეხვდით სააკაშვილს?

– შევხვდი.

– რა შეცდომები აღიარა?

– თქვა, ჩვენ სახელმწიფოს აშენება დავიწყეთ და ამ დროს დავუშვით რაღაც შეცდომებიო. ესენი პირდაპირ ღალატზე არიან და მოსკოვის მითითებებით მოქმედებენ.

– მოსკოვის მითითებებით მოქმედებენო, ამბობთ, მაგრამ იმ მოძრაობაში ხართ, რომლის საპრეზიდენტო კანდიდატი, გრიგოლ ვაშაძე, 2009 წელს შეელია რუსეთის მოქალაქეობას.

– მერე რა, ხომ დათმო პასპორტი. ახლანდელი მთავრობის წევრები დიდი ხანია, აღარ არიან რუსეთის მოქალაქეები? სალომე ზურაბიშვილი ახლა არ შეელია საფრანგეთის მოქალაქეობას?

ან ბიძინა ივანიშვილი რომ გყავს პარტიის უფროსი, სხვის რუსეთუმეობაზე რანაირად ლაპარაკობ. ყველამ ხომ კარგად ვიცით, რატომ მისცა მას პუტინმა ფული.

– რა ფული მისცა?

– რუსეთში არსებული ქონება რომ გაყიდა, ის ფული.

– ქონება მაგისი იყო და რა უნდა ექნა?

– რაც სხვა ბიზნესმენებს გაუკეთა. ამას ეს ფული ერთი პირობით გამოატანა, რომ გააკეთებდა იმას, რასაც ახლა აკეთებს საქართველოში.

დავით ბეგიაშვილი: „ქვეყანაში ბიზნესმენებთან ხელისუფლების მხრიდან არაფორმალური ურთიერთობები არსებობს“

– დღეს ქვეყანაში ჩამორთმეული ქონება ისე არ ბრუნდება, თუ ბიზნესმენი კონკრეტულ სქემაში არ ჩაერთვება, – ასეთ განცხადებას „კომერსანტთან“ ბიზნესმენი დავით ბეგიაშვილი აკეთებს, რომელიც ჰოლდინგური კომპანია „ვაკე-5-“სა“ და „ალბატროს ჯგუფის“ დამფუძნებელია.

როგორც ცნობილია, დავით ბეგიაშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა წინა ხელისუფლების დროს დაიწყო და 2013 წელს შეწყდა. ბიზნესმენი უზენაესმა სასამართლომ გაამართლა და შემოსავლების სამსახურის მოთხოვნა, რომელიც შპს ალბატროსს 3 მილიონი ლარის გადახდას ავალებდა, ბათილად ცნო, ქონებას კი ყადაღა მოეხსნა.

2013 წლის თებერვალში ბიზნესმენი ამბობდა, რომ ქონება დაუბრუნდა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ მისთვის ქონების დაბრუნება არ მომხდარა, ეკონომიკის სამინისტრომ ქონების დაბრუნება მხოლოდ 3 თვით მოახდინა.

დღეს ბეგიაშვილი განმარტავს, რომ ქვეყანაში ხელისუფლების მხრიდან ბიზნესმენებთან არაფორმალური ურთიერთობები არსებობს.

– ინფორმაცია მაქვს, რომ ქონება ისე არ ბრუნდება, თუ ბიზნესმენი კონკრეტულ სქემაში არ ჩაერთვება. იქ პირობებს დებენ და ხელშეკრულებებს აფორმებენ იმასთან დაკავშირებით, რომ მათ არავისთან არ ექნებათ დავა და პრეტენზია. ის, ვინც ჩამორთმეული ქონება დაიბრუნა, 99 პროცენტი ამ სქემის მონაწილეა. სხვა გამოსავალი არ არის, – აცხადებს ბეგიაშვილი.

კითხვაზე, აღიქმება თუ არა „ომეგა ჯგუფის“ საქმე სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესზე ზეწოლად, ბეგიაშვილი განმარტავს, რომ აღნიშნული ქეისი კითხვის ნიშნებს ნამდვილად ბადებს. ამიტომ ხელისუფლებამ პასუხი აუცილებლად უნდა გასცეს.

რაც შეეხება საერთაშორისო არბიტრაჟის საქართველოში დაფუძნებას, ბეგიაშვილი აცხადებს, რომ ამ ნაწილში პრობლემას ვერც ეს ინსტიტუტი მოაგვარებს.

– ხან კომისიები შეიქმნა, ხან რა, ეს არის ახალი ინსტიტუტი, რომელიც რაღაცას გაარკვევს. საერთაშორისო, რა თქმა უნდა, ავტორიტეტულია, მაგრამ ცუდია ის, რომ ქვეყნის შიგნით სასამართლო სისტემა გამართული არ არის. თუ ჩვენ გვაქვს პრეტენზია დემოკრატიულ ქვეყანაზე და დემოკრატიულ ღირებულებებზე, ეს ქვეყნის შიგნით უალტერნატივოდ უზრუნველყოფილი უნდა იყოს. ლონდონის არბიტრაჟი და სტრასბურის ევროპული სასამართლო ისედაც არსებობს მსოფლიოში. თუმცა, პრობლემა შიდა სასამართლო სისტემაა.

არბიტრაჟი უფრო სარეკომენდაციო ხასიათის არის და არ არის ის ინსტრუმენტი, რომელიც პრობლემას გადაჭრის. ქვეყნის შიგნით არსებობს პროკურატურა და სასამართლო, სადაც რეფორმაა გასატარებელი. ის რომ საქართველო ჰაბი იქნება, ეს ცოტა ლირიკა მგონია, რადგან ჯერ შიდა პროცესებია მოსაგვარებელი და შემდეგ დანარჩენი, – აღნიშნავს ბეგიაშვილი.

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი ერთ თვეში 105 მლნ ლარით გაიზარდა

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი ბოლო ერთი თვის განმავლობაში 105 მილიონი ლარით გაიზარდა.

მიმდინარე წლის 30 სექტემბრის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალმა 13,441 მილიარდ ლარს (5,140 მილიარდ დოლარს) გადააჭარბა. 31 აგვისტოს მონაცემებით კი ვალის მოცულობა 13, 336 მილიარდ ლარს შეადგენდა.

საქართველოს სახელმწიფოს ყველაზე მსხვილი კრედიტორები არიან: მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA); აზიის განვითარების ბანკი (ADB) და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD).

კერძოდ, IDA-ს მიმართ ვალი 30 სექტემბრის მდგომარეობით 2,835 მილიარდ ლარზე მეტს შეადგენს; ADB-ის მიმართ ვალი 1,849 მილიარდ ლარზე მეტია; ხოლო IBRD-ის მიმართ სახელმწიფოს საგარეო ვალი 2,031 მილიარდ ლარზე მეტს შეადგენს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ვალი კი 2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 328.385.000 ლარს შეადგენს.

„უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა რუსეთისთვის დიდი დარტყმაა“

„ქართულმა ეკლესიამ პოზიცია მსოფლიო კრებაზე უნდა გამოხატოს“

იაგო ნაცვლიშვილი

სტამბოლში მსოფლიო საპატრიარქოს სინოდის სხდომაზე უკრაინის ავტოკეფალიის აღდგენის პროცესი დაიწყო. კერძოდ, რუსეთს 6 საუკუნის წინ მინიჭებული უკრაინის ეპისკოპოსის იკონომიით დანიშვნის უფლება გაუუქმეს.

„ახალი თაობა“ ამ საკითხზე თეოლოგ **ლევან აბაშიძესა** და იურისტ **ლევან ალაფიშვილს** ესაუბრა.

– ბატონო ლევან, უკრაინის ავტოკეფალიის აღდგენის პროცესი დაიწყო. როგორ შეაფასებთ პროცესს და რას ნიშნავს ეს?

– ძალიან მნიშვნელოვანი რაღაცა მოხდა. ეკლესიები, რომლებიც გამოყოფილი იყო და რომელთაც არ ცნობდა რუსეთის საპატრიარქო და, შესაბამისად, სხვებიც არ ცნობდნენ, მსოფლიო პატრიარქმა ცნო ეს ეპისკოპოსები, ანუ მოეხსნა მათ ანათემა. ეს ნიშნავს, რომ ისინი სრულიად კანონიკურები გახდნენ. ისინი იმყოფებიან არა რუსეთის საპატრიარქოს ქვეშ, არამედ მსოფლიოს საპატრიარქოს ქვეშ.

მრევლმა, რომელიც არის ამ ეკლესიებში და ადრე მათ არავინ ცნობდა, ახლა შეიძინა ლეგიტიმურობა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი.

მეორე არის ის, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ მსოფლიოს საპატრიარქო იქითკენ მიდის, რომ აღიაროს უკრაინის ავტოკეფალიური ეკლესია და მისცეს მას ავტოკეფალია.

– ამ საკითხის ირგვლივ მიმდინარე პროცესზე რას იტყვით?

– რუსეთის ეკლესიამ უარი თქვა დიალოგზე და ეგონათ, რომ ეს ყველაფერი შეაჩერებდა ამ პროცესს. მსოფლიო საპატრიარქომ კი თქვა, რომ თუ თქვენ არ იღებთ დიალოგში მონაწილეობას, მაშინ ჩვენ დავიწყებთ ამ საკითხზე მუშაობასო.

თავის დროზე, როდესაც რუსეთმა შეიერთა უკრაინის ტერიტორიები, თავის დროზე მათ თავის ეკლესიას შეუერთეს, რაც ძალიან რთული ისტორიული პროცესი იყო. იქამდე კი ეს ტერიტორიები მსოფლიოს საპატრიარქოს ეკუთვნოდა. ავტოკეფალიური არ იყო, მაგრამ მიტროპოლიტს ნიშნავდა მსოფლიო პატრიარქი. ახლა მსოფლიო პატრიარქი ამბობს, რომ ჩვენ ეს მდგომარეობა უნდა აღვადგინოთ, რადგან ჩვენ ეს ტერიტორიები დროებით გადავეცით რუსეთს, მას ახლა ვიბრუნებთ და შემდეგი ნაბიჯი იქნება ავტოკეფალიის მინიჭებაო. ეს პროცესი ძალიან თანმიმდევრულად, მშვიდად და წყნარად მიმდინარეობს.

– რუსეთის პოზიცია როგორი იქნება ახლა?

– რასაკვირველია, რუსეთში ამას ექნება საშინელი რეაქცია, მაგრამ რუსეთი ვერაფერს გააკეთებს.

ალბათ მომავალი ათწლეულების განმავლობაში უკრაინაში მივიღებთ ორ პარალელურ

ლევან აბაშიძე

ეკლესიას. ერთი იქნება რუსეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში და მეორე – მსოფლიო საპატრიარქოს მიერ მინიჭებული ავტოკეფალიის.

– მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში რატომ?

– ის დარჩება აუცილებლად. რომელი ადგილობრივი მრევლიც მოინდომებს, რომ დარჩეს მოსკოვის საპატრიარქოში, ისინი დარჩებიან.

– სურვილზე იქნება ეს დამოკიდებული?

– უკრაინა დემოკრატიული ქვეყანაა და ადგილობრივი მრევლი ყველაფერს თავად წყვეტს. ეკლესიაც და ქონებაც მრევლს ეკუთვნის და, თუ იქნება ასეთი მრევლი, რომელიც მოინდომებს რუსეთის საპატრიარქოს ქვეშ დარჩენას, მას ძალით ვერავინ გადაიყვანს.

– რუსეთის მიერ ანექსირებულ ტერიტორიებზე მოქმედ ტაძრებში როგორ იქნება?

– ყირიმსა და დონბასის ანექსირებულ ნაწილში ძნელი იქნება ამის გავრცელება, იმიტომ, რომ იქ რუსეთს პოლიტიკური ძალაუფლება აქვს, შესაბამისად, ძნელი იქნება და, ბუნებრივია, იქ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში დარჩება.

– ამის მიუხედავად, შეგიძლიათ თქვათ, რომ უკრაინისთვის ახალი ისტორიული ეპოქის დასაწყისია?

– რასაკვირველია. უკრაინის ეკლესიისთვის ნამდვილად და ალბათ უკრაინისთვისაც. XIX-XX საუკუნის ისტორია გვეუბნება, რომ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მოჰყვება ხოლმე საეკლესიო დამოუკიდებლობაც. ამაში ტრადიციული მართლმადიდებელი ქვეყნები იგულისხმება.

– რუსეთის სახელმწიფოსთვის არ არის ეს დარტყმა?

– რუსეთის სახელმწიფო მაქსიმალურად იყენებს მოსკოვის საპატრიარქოს თავისი პოლიტიკისა და პროპაგანდისთვის, ამიტომ სახელმწიფოსთვისაც დიდი დარტყმა იქნება, მათი შეხედულებებიდან გამომდინარე, თორემ ქრისტიანებისთვის ეს არ არის მთავარი საკითხი, ვინ რომელი საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია.

სამწუხაროდ, პოლიტიკური ძალაუფლების საკითხები ეკლესიაში შემოდის, ამიტომ ვსაუბრობთ ამაზე, თორემ ქრისტიანისთვის უნდა იყოს ურთიერთსიყვარული და ურთიერთდათმობა.

რუსეთი თავის დროზე უფრო გონივრულად რომ მოქცეულიყო და თავად მიენიჭებინა ავტოკეფალია, ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა. ბოლომდე რომ ებღაუჭება, საბოლოო ჯამში, უარეს შედეგს იძლევა. ერთობლივადაც რომ გადაეწყვიტათ რუსეთისა და მსოფლიო საპატრიარქოს, ესეც უკეთესი იქნებოდა რუსეთისთვის, თუმცა მან ფაქტობრივად დიალოგზე უარი თქვა.

ის ამბობდა, რომ ეს საკითხი საერთოდ არ არსებობს, სინამდვილეში ბევრი უკრაინელი მართლმადიდებელია, რომელსაც არ სურს, რომ მოსკოვის საპატრიარქოს ეკუთვნოდეს, თან ისტორიულად XVII საუკუნემდე კიევის მიტროპოლიას არავითარი საერთო არ ჰქონდა მოსკოვის ეპისკოპოსებთან. ისტორიულად კი ნაკლები საფუძველია.

აფხაზეთის საკითხი რომ დადგეს, აფხაზებს ბევრად ნაკლები საბუთი აქვთ, ვიდრე ეს ჰქონდათ უკრაინელებს იმისთვის, რომ ავტოკეფალია მოიპოვონ.

* * *

ლევან ალაფიშვილი ამბობს, რომ რუსეთსა და უკრაინას შორის ურთიერთობებში ცვლილებებია მოსალოდნელი.

– მოსალოდნელ ცვლილებებში რას გულისხმობთ?

– საუბარია მიდგომაზე, რომელიც რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას აქვს ამ საკითხისადმი. რეალურად სახელმწიფოს ცნობა-არცნობის რანგში აქვთ აყვანილი. შემდგომ მოვლენებში იქნება რუსეთი და მისი გადაწყვეტილებები თუ ქმედებები როგორც უკრაინის, ისე მის მხარდამჭერთა მიმართ.

– ანუ ამის გამო შესაძლოა რუსეთის პოლიტიკა უფრო აგრესიული გახდეს?

– აგრესია რუსეთის პოლიტიკას არ აკლია, უბრალოდ, სხვადასხვა დოზითაა წარმოდგენილი სხვადასხვა სახელმწიფოსთან თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმართებით. აქ საუბარია რუსეთის აგრესიულ ქმედებებზე პოლიტიკური ზრახვების რეალიზაციისთვის.

პირდაპირი ანალოგი არ არის, მაგრამ შევხედოთ, როგორ უპასუხა რუსეთმა საერთაშორისო საზოგადოებას – მოახდინა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება და აგრძელებს მხარდამჭერთა მობილიზებასა და მოძიებას. ეს იყო მაგალითი ბალკანეთში საერთაშორისო თანამეგობრობის მიღებულ გადაწყვეტილებასა და ამის შემდგომ განვითარებულ პროცესზე.

ლევან ალაფიშვილი

ეს მაგალითი წარმოადგენს ერთ-ერთ შესაძლო განვითარებას, თუ როგორ შეიძლება წარიმართოს პროცესი და როგორ შეიძლება იმოქმედოს რუსეთმა მართლმადიდებელ სახელმწიფოებში, ან სადაც არის მართლმადიდებელი მრევლი და შესაბამისი ეკლესიები.

– უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის აღდგენის პროცესი რუსეთისთვის დარტყმაა?

– ეს შეფასებასაც არ საჭიროებს. რუსეთის ხელმძღვანელების განცხადებები პირდაპირ მიანიშნებს ამას, რომ რუსეთი ამას განიხილავს თავისი ინტერესების საფრთხედ და თავის ინტერესებზე დარტყმად. ეს არის ფაქტი, რომელიც გაცხადებული აქვს საჯაროდ რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას.

– საქართველოს ეკლესიას უნდა გამოეხატა თუ არა საჯაროდ პოზიცია უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით?

– სწორი იქნება, თუკი საქართველოს ეკლესია მსოფლიო მართლმადიდებლური კრების ფარგლებში მიიღებს და გამოხატავს პოზიციას და არა – ცალკე აღებული. ცალკე აღებული ეკლესიის ცალკეულ მმართველებს პოზიცია გაცხადებული აქვთ და ეს პოზიცია არის უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის სასარგებლოდ, მაგრამ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესიის პოზიციის გამოხატვა გონივრული იქნება უმაღლეს საეკლესიო ფორუმზე, სადაც გაფორმდება ეს გადაწყვეტილება.

კენჭისყრითა თუ სხვა რა ფორმით იქნება ეს ყველაფერი, ამაზე კომენტარის გაკეთება გამიჭირდება. სხვა ფორმატიც შეიძლება არსებობდეს, მაგრამ, ვიმეორებ, ეს უნდა მოხდეს მსოფლიო საეკლესიო კრების ფარგლებში, სადაც უნდა მოხდეს საქართველოს ეკლესიის პოზიციის წარმოდგენა და გამოხატვა.

რა ღირს მიწის ნაკვეთები თბილისში და რატომ შემცირდა მოთხოვნა

თბილისში მიწის ნაკვეთებზე ფასები არ გაზრდილა, თუმცა მოთხოვნა შემცირდა. როგორც „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას უძრავი ქონების საგენტოებში აცხადებენ, ბოლო პერიოდში უცხოელებისთვის ბინადრობის მინიჭების უფლება გართულდა, რაც, შესაძლოა, მოთხოვნის შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყოს.

არადა, ბოლო წლების განმავლობაში თბილისში კერძო სახლების მშენებლობა სულ უფრო პოპულარული გახდა. დედაქალაქის დაუსახლებელი ტერიტორიები სწრაფად გაშენდა.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, რა ღირს მიწის ნაკვეთები თბილისში და როგორია მოთხოვნა. როგორც უძრავი ქონების სააგენტოებში გვითხრეს, კვადრატული მეტრის ფასი მისი მდებარეობის მიხედვით განისაზღვრება და ღირებულებაზე გავლენას ახდენს ისიც, თუ რამდენად ახლოა იგი ცენტრალურ გზასთან,

საზოგადოებრივ ტრანსპორტთან, რამდენად განვითარებულია მიმდებარე ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურა და რამდენად უზრუნველყოფილია კომუნიკაციები – ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, წყალი და ა.შ.

პორტალ სს.გე-ს რედაქტორი ლელა არაბული „ბიზნესპრესნიუსთან“ დედაქალაქში კვადრატული მიწის ნაკვეთის ფასზე საუბრობს.

– დიდ დიღომში მიწის საშუალო ფასი 55 დოლარია. ფასები 10



დოლარიდან იწყება და 100 დოლარამდეც ადის. უშუალოდ დიდი დიღმის დასაწყისში შესაძლოა, ერთი კვადრატული 300 დოლარიც კი ღირდეს, დასახლებისგან ცოტა მოშორებით 10 დოლარიც ღირს.

რაც შეეხება ნუცუბიძის პლატოს, საშუალო ფასი 129 დოლარია. ფასი 60 დოლარიდან 150 დოლარამდე მერყეობს. ვაკეში საშუალო ფასი კი 400 დოლარია, – განაცხადა არაბულმა.

ლელა არაბულის თქმით, მიწის ნაკვეთი, რომელზეც დამტკიცებულია სახლის პროექტი, ქალაქის რომელ მხარესაც არ უნდა იყოს, უფრო ძვირად იყიდება. მისი თქმით, ვაკეში ერთი კვადრატული მეტრი ასეთი მიწის ნაკვეთი 2.000 დოლარიც კი ღირს.

– ვარკეთილში ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის ფასი 10 დოლარიდან იწყება და დამტკიცებული პროექტით 400 დოლარამდე ღირს. საშუალო ფასი ერთ კვადრატულ მეტრზე 60-70 დოლარი გამოდის. ივერთუბანში მიწის საშუალო ფასი კვადრატულ მეტრზე 70 დოლარია.

მიწის ფასი ყველაზე ძვირი მთაწმინდაზე და ავლაბარშია. მთაწმინდაზე კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი დამტკიცებული პროექტით 6 ათასი დოლარიც კი ღირს, ხოლო ავლაბარში 4 ათას დოლარამდეც ადის. – განაცხადა არაბულმა.

როგორც უძრავი ქონების სააგენტოს myclient.ge დირექტორი გვანცა გუჯელაშვილი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, მიწის ნაკვეთზე მოთხოვნა შემცირებულია.

– ჩვენი სააგენტოს მონაცემებიდან გამომდინარე, ბოლო პერიოდში უძრავ ქონებაზე, მითუმეტეს მიწაზე ფასების ცვლილება არ შეინიშნება. სამაგიეროდ, შემცირებულია მოთხოვნა. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ბინადრობის მინიჭების უფლება, რომელიც ბოლო პერიოდში საკმაოდ გართულდა. საბოლოო ჯამში, ამან მოთხოვნაზე გარკვეული ნეგატიური როლი ითამაშა. რა თქმა უნდა, მიწის ყიდვაზე მოთხოვნა უფრო მეტად უცხოელების მხრიდან იყო. საქართველოს მოქალაქეები ერთეულები არიან, ვისაც მიწის შეძენა და სახლის აშენება სურს, – განაცხადა გუჯელაშვილმა.

მისი თქმით, მიწაზე ყველაზე დიდი მოთხოვნა ძველი თბილისის ტერიტორიაზეა – აბანოთუბანსა და ავლაბარში მიწებს ძირითადად სასტუმროების ასაშენებლად ყიდულობენ, ხოლო დიდ დიღომში – კერძო სახლებისთვის.

კაზინო „არაგვის“ ნაცვლად მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობით ინვესტორები ინტერესდებიან, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიდის

სანაპიროზე ყოფილი კაზინო „არაგვის“ ნაცვლად ახალი მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობით ინვესტორები ისევ არ ინტერესდებიან. ამის შესახებ „კომერსანტს“ პროექტის განმახორციელებელი კომპანიის „ლოიალ კაპიტალ გრუპის“ ვიცეპრეზიდენტმა მინდია გადაევმა განუცხადა.

მისი ინფორმაციით, მათი უმრავლესობა, ინვესტორების გარკვეული ჯგუფი პროექტით ინტერესდება, თუმცა, საქმე ბოლომდე ამ დრომდე ვერ მივიდის.

როგორც ცნობილია, პროექტის განხორციელება დაფინანსების არარსებობის გამო გაურკვეველი ვადით იყო შეჩერებული. საუბარია, ჯამში, 50.000 კვადრატულ მეტრ ფართობზე, რომლის ათვისებაც ეტაპობრივად, ფაზების მიხედვით უნდა მოხდეს. პროექტის ღირებულება 100 მილიონი აშშ დოლარის ღირებულებისაა.

როგორც გადაევი აცხადებს, კომპანიამ რამოდენიმე სახის კონცეფცია დაამუშავა. მისი თქმით, არსებობს პროექტის 3-4 ვარიანტი, თუმცა აქედან რომელზე შეჯერდებიან და საბოლოოდ რომელი შევა თბილისის მერიაში სამშენებლო ნებართვისთვის, ამ დროისთვის უცნობია. გადაევის განცხადებით, ყველა ვარიანტის შეთავაზება ხდება ინვესტორებისთვის, მათ შორის, რეიტინგული კი საბოლოო პროექტი იქნება.

როგორც ცნობილია, არაგვის ტერიტორიაზე შერეული ტიპის სავაჭრო კომპლექსი უნდა მოეწყოს. თავდაპირველად ტერიტორიაზე Hyatt-ის ბრენდის სასტუმროს მშენებლობა იგეგმებოდა, თუმცა კომპანია სასტუმროს Hyatt Regency-ის იუსტიციის სამინისტროს ყოფილ შენობაში აშენებს. ასევე აღსანიშნავია, რომ პროექტის განმახორციელებელმა კომპანია „რუსთაველი ფროფერთისმა“ სასტუმრო Hyatt Regency-ის 50%-იანი წილი გაყიდა და პროექტში ახალი ინვესტორი – GD Group/ Real Estate Construction-ი შემოიყვანა.

„ზაზა ოქუაშვილი იგორ გიორგაძის მძღოლი იყო“

მირიან მირიანაშვილი: „ომეგას“ სკანდალი საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის აგორებულია“

მარიამ მჭედლიშვილი

საპრეზიდენტო არჩევნების წინ ქვეყანა მოექცა გარე ძალებს შორის როგორც პოლიტიკური, ისე რელიგიური დაპირისპირების ეპიცენტრში. ამის შესახებ „ახალ თაობასთან“ საუბრობს ყოფილი დეპუტატი, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერი მირიან მირიანაშვილი.

მირიან მირიანაშვილი:

– ეს არ არის კლასიკური არჩევნები. ამ არჩევნებს რუსები თავიანთი შავბნელი გეგმებისთვის იყენებენ, დასავლეთი კი აკვირდება, ხომ არ ჩავარდება ამ არჩევნების გამოყენებით საქართველო იმ პოლიტიკური ელიტის ხელში, რომელიც ცივილიზებული სამყაროს ნდობას არ იმსახურებს.

– ქართული ბერკეტების ნაწილის მშვიდობიანად დათმობა აღარ უნდა რუსეთს? მოსკოვმა სხვა გზა აირჩია?

– ასე გამოდის. რუსეთსა და მის ქართველ მსახურებს გადაწყვეტილი აქვთ საქართველოში 1991-92 წლების მოვლენების გამეორება. ამისთვის გამოიყენება საარჩევნო თემატიკა. კრემლის გეგმის შემსრულებელი ქართველები, საუბედუროდ, ოპოზიციაშიც არიან და ხელისუფლებაშიც. ჩაფიქრებულია ქაოსის მოწყობა ნებისმიერ შემთხვევაში. ნაციონალური მოძრაობა აპირებს ქუჩაში გამოსვლას, თუ მისი კანდიდატი არჩევნებს წააგებს. თუ მოიგებს, მაშინ მით უმეტეს შეასრულებს მუქარას და ქაოსს მოაწყობს.

ღიად ცხადდება, რომ ნაცმოძრაობის კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში მოხდება სააკაშვილის შეწყალება, რასაც მოჰყვება რევოლუციური სცენარის განვითარება. ექსპრეზიდენტი დასახელდება პრემიერმინისტრობის კანდიდატად და დაიწყება ამ განზრახვის შესრულება ყველანაირი მეთოდის გამოყენებით. ამ გეგმას ემსახურება მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის საწინააღმდეგო აქტიური შავი პიარი და ხალხის წყობიდან გამომყვანი ისეთი საკითხების დღის წესრიგში ჩასმა, როგორიცაა კანაფის კულტივაცია.

– სალომე ზურაბიშვილს თავისი გადაცდომები აქვს წინასაარჩევნოდ. კანაფის მოშენება მისი ინიციატივა არ არის.

– კანაფის საკითხის წამოწევა ხდება საგანგებოდ. ეს არის ხალხის წინ წითელი ნაჭრის ფრიალი. საზოგადოება ამის პასუხად ღიზიანდება იმ კანდიდატზე, რომელსაც ხელისუფლება მფარველობს. კანაფის კულტივაციასთან დაკავშირებული კანონპროექტის პარლამენტში შეტანის დროს გამოიჩინეს გაუგებარი სულსწრაფობა. ასეთ გამაღიზიანებელ ნაბიჯებს არჩევნების წინ არც ერთი ხელისუფლება არ დგამს.

– არჩევნების წინ რატომღაც საკამათო გახადეს 2008 წლის ომის დაწყების საკითხი.

– გასაგებია საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება ზურაბიშვილის ამ განცხადებებზე. ომი საქართველოს არ დაუწყია და, ვინც საპირისპიროს ამბობს, ძალიან ცდება. ჩვენ ისეთ რთულ მდგომარეობაში ვართ, რომ მარტო განცხადებებს არ უნდა მივაქციოთ ყურადღება, უნდა გავაცნობიეროთ, რომ დასავლეთი უნდობლობას გამოუცხადებს იმ პოლიტიკურ ლიდერებსა და მათთან ერთად საქართველოს, რომლებმაც განათლება რუსეთში მიიღეს და რომლებიც დიდი ხანია, მჭიდროდ არიან დაკავშირებული საბჭოთა კავშირისა და რუსეთის სპეცსამსახურებთან.

– დაა ზუსტეთ.

– ევროკავშირსა და ნატოში მოქმედებს ერთი წესი. ის შემოიღეს მას შემდეგ, რაც ამ ორგანიზაციებში შევიდნენ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები. ამ წესის თანახმად, ევროკავშირისა და ნატოს წევრი ქვეყნების პირველი პირები, პოლიტიკური ელიტა არ უნდა იყვნენ მიბმული რუსეთზე, მის სპეცსამსახურებზე. მათ არ უნდა ჰქონდეთ განათლება მიღებული რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში.

ვაშაძე და სააკაშვილი, რომლებიც შეიძლება მოვიდნენ ხელისუფლებაში, ამ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებენ. ასეთი ლიდერების ხელში საქართველოს მიღება ევროკავშირსა და ნატოში გამორიცხულია.

– რუსეთს აგენტურა შეიძლება დასავლეთის სახელმწიფოების ქვედა რგოლებშიც ჰყავდეს.

– ბუნებრივია, მაგრამ სალომე ზურაბიშვილზე დასავლეთი ამას ვერ იტყვის. რუსეთისაგან მისი დამოუკიდებლობის გარანტიას საფრანგეთის სპეცსამსახურები იძლევიან. პრეზიდენტის არჩევნები საქართველოსთვის რთულ

დროს ემთხვევა. ქვეყანა მოხვდა როგორც პოლიტიკური, ისე რელიგიური დაპირისპირების ეპიცენტრში.

– იგულისხმება დაპირისპირება დასავლეთსა და რუსეთს შორის? უკრაინის ავტოკეფალიის აღიარებაც ამ კონტექსტში მოიაზრება.

– რასაკვირველია. უკრაინის ეკლესიის მოსკოვის საპატრიარქოსგან დამოუკიდებლობას მხარს უჭერს არა მხოლოდ კონსტანტინეპოლის პატრიარქი, არამედ, მთელი დასავლეთი. ეს პოლიტიკური პრობლემაცაა და დასავლეთი საქართველოსგან სწორ გადაწყვეტილებას მოელის.

რუსეთს უნდა ქაოსის მოწყობა და 91-92 წლებში ჩვენი დაბრუნება. მაშინ დეპუტატი ვიყავი და კარგად ვიცი, როგორ იწყებოდა რუსეთის ინიცირებით მაშინდელი საშინელი მოვლენები. „ომეგა ჯგუფთან“ დაკავშირებული ფარული ჩანაწერები გადაჯაჭვულია ამ პროცესებთან. „ომეგა ჯგუფი“ ყოველთვის იყო უშიშროების ყოფილი მინისტრის, იგორ გიორგაძის საკუთრება. ეს სპექტაკლები მისი დირიჟორობით დაიდგა.

– ბოლო დროს იგორ გიორგაძემ, რუსეთის სხვა უწყებების პარალელურად, საქართველოში მოქმედ ლუგარის ლაბორატორიას შეუტია.

– ეს სწორედ იმისთვის მოხდა, რომ დაფიქსირებულიყო გიორგაძის ჩართვა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. თუ „ახალ თაობას“ დააინტერესებს, სხვა ინტერვიუში დაწვრილებით შევეხები იგორ გიორგაძის მიერ ბიოლაბორატორიის საკითხის წამოწევას.

– სკანდალი „ომეგა ჯგუფის“ გარშემო საქართველოს უშიშროების ყოფილმა მინისტრმა ააგორა?

– ყველაფერი მისი დირიჟორობით ხდება. ამ სკანდალის მიზანია შავი პიარი „ქართული ოცნების“ ხელისუფლების, პირადად ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. ზაზა ოქუაშვილი გიორგაძის „ომეგა ჯგუფში“ 90-იან წლებში მძღოლად მუშაობდა. როცა იგორ გიორგაძე საქართველოდან წავიდა, ეს კომპანია მას დარჩა. მისი ნამდვილი მფლობელი გიორგაძეა.

– „ომეგა“ ნაცმოძრაობასა და მის კანდიდატს დაუკავშირდა.

– ამაში არაფერია გასაკვირი. საქმეში ჩახედული ხალხისთვის კარგადაა ცნობილი, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, რაც სააკაშვილმა ჩაიგდო ხელში, გიორგაძის გამგებლობის სფეროა. ბევრმა იცის, რომ ნაცმოძრაობა რუსულ სპეცსამსახურებთან არის დაკავშირებული. ზოგისთვის ისიც ცნობილია, რომ ნაცმოძრაობის პირდაპირი კურატორი იგორ გიორგაძეა.

ამაზე ლაპარაკს ყველა ერიდება. როცა ჩემი დაფუძნებული ნაციონალური მოძრაობის დაბრუნებას ვცდილობდი, მირჩიეს, პირადად გიორგაძესთან დამეჭირა საქმე. გიორგაძე სააკაშვილის კურატორი მაშინაც იყო, როცა საქართველოს ექსპრეზიდენტი უკრაინაში საქმიანობდა. უკრაინელ მოსკოვში მცხოვრებ ბიზნესმენ კურჩენკოსაც ის აძლევს მითითებებს.

– ეგ ის კურჩენკოა, რომელთან გარიგებასა და უკრაინის წინააღმდეგ ერთად მოქმედებას სააკაშვილს უკრაინა ედავებოდა?

– სწორედ ისაა. არსებობს სააკაშვილისა და კურჩენკოს კომუნიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

– იგორ გიორგაძეს საქართველოში ხელისუფლების შეცვლა უნდა?

– ყველაფერი ამაზე მეტყველებს. დარწმუნებული ვარ, მას უნდა, თვითონ ჩაანაცვლოს ბიძინა ივანიშვილი. გიორგაძის მითითებით ადამიანები, რომლებიც ადრე ნაცმოძრაობას ლანძღავდნენ, დღეს გრიგოლ ვაშაძის შტაბის გარშემო გაერთიანდნენ. მათი შეკავშირების საბაბი საინტერესოა – მარიხუანა. ეს ხალხი ირწმუნება, რომ ნაციონალებთან კანაფის წინააღმდეგ ბრძოლის მიზანმა მიიყვანა.

დავით დარჩიაშვილი: „მეორე ტური გარდაუვალია, თუ მასობრივი დარღვევები არ იქნება“

„ეს ხელისუფლება ფარცხალაძის საქმეს არ გამოიძიებს“

ნათია ხურცილავა

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი **დავით დარჩიაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, ყოფილი მთავარი პროკურორი, ფარცხალაძე, შეიძლება პრობლემად იქცეს ხელისუფლებისთვის თუ უკვე არ არის პრობლემა?

– ფარცხალაძე უკვე არის ხელისუფლებისთვის სერიოზული პრობლემა. როდესაც ხელისუფლებაში ასეთი ხალხია, რასაკვირველია, ის არის პრობლემა.

– ის არ არის ხელისუფლებაში.

– ეს არის საქმე. სამწუხაროდ, ასეთი სისტემა გვაქვს, როდესაც ფორმალურ თანამდებობებზე უფრო მნიშვნელოვანია არაფორმალური გავლენები. ერთ-ერთი გავლენის აგენტი ფარცხალაძეა. ეს ხელისუფლების პრობლემაა და საზოგადოება ასე უყურებს მას.

– დავით უსუფაშვილი ამბობს, რომ ფარცხალაძეს რამდენიმე წლის წინ კეზერაშვილი ერქვა. რას იტყვით?

– დავით უსუფაშვილის ასოციაციები მისი ასოციაციებია. მე ვერ გეტყვით, რა მსგავსება დაინახა. მე არ გამიგია, რომ კეზერაშვილს ადამიანები სარდაფში ჩაჰყავდა და საქმეებს ურჩევდა იმ მეთოდებით, რომლებზეც საუბარი იყო იმ ფარულ ჩანაწერებში.

– კეზერაშვილი მინისტრობის შემდეგ უცებ გამდიდრდა და რამდენიმე მილიონის მფლობელი გახდა.

– კეზერაშვილს თავის ებრაელ ნათესაობასთან ჰქონდა კავშირები. ბოლოს ის ებრაულ ბიზნესში იყო, აქედან

არის მისი ქონების წარმომავლობა და არა – ბიუჯეტიდან, როგორც მე ვიცი. ფარცხალაძის შემთხვევაში თუ რასთან გვაქვს საქმე, ეს საზოგადოებამ განსაჯოს.

– ფარცხალაძის ადვოკატი ამბობს, რომ მისი ბიზნესი თვითმფრინავის ნაწილების ქარხანას უკავშირდება. თუმცა, ამ კომპანიას ჯერ მოგება არ აქვს.

– ეს ადვოკატი ძალიან უცნაური საქმეებიდან მახსენდება. საშარო საქმეების ტალკვესად ჰყავთ ეს ადვოკატი. როდესაც ვუსმენდი და ამ ბიზნესზე საუბრობდა, ძალიან დაბნეული იყო და არ იცოდა, რა უნდა ელაპარაკა.

– რა პროცესთან გვაქვს საქმე, როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს?

– დღეს ხელისუფლება ბანდიტური დაჯგუფების ხელშია. არაფორმალური – ყველაზე რბილი შეფასებაა იმ პროცესების მიმართ, რომელთაც ვუყურებთ. როდესაც ქვეყანა არაფორმალურად იმართება, ის აღარ არის თანამედროვე სახელმწიფო.

ამ შემთხვევაში არაფორმალური ძალები არის არა რაღაც უხუცესთა საბჭო ან რელიგიური ორგანიზაცია და ა.შ. ესენია ბიზნესმაფიური დაჯგუფება, რომელიც საბჭოთა კავშირის ნანგრევებიდან მოდის, სადაც სწორედ მაფიამ გადაინაწილა ქონება. ამის წარმომადგენელია ბიძინა ივანიშვილი, რაზეც სულ ვლაპარაკობდით და ახლა თვალნათლივ ვხედავთ, უშუალოდ მას რა მეთოდები აქვს. ეს ძალიან დიდი პრობლემაა ქვეყნისთვის.

– კალაძე, კობახიძე და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ამ ყველაფერს უარყოფენ და შავ პიარს უკავშირებენ.

– კალაძე და კობახიძე აბა რას იზამენ, ამ ხელისუფლებას წარმოადგენენ და მასთან არიან ასოცირებული. ხომ არ გამოვლენ და პირდაპირ ხომ არ იტყვიან, დიახ, ჩვენ ბანდის დაჯგუფება ვართ და, რაც გინდათ, ის ილაპარაკეთო. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ცხელ გულზე ეგეც თქვან.

ინფორმაციები საზოგადოების წინაშეა და ყველამ აწონ-დაწონოს თავისთვის, თუ რას წარმოადგენს „ქართული ოცნების“ ხელისუფლება.

– თუ მართლაც ასეა, როგორც თქვენ ამბობთ, მაშინ სად ხედავთ გამოსავალს?

– გამოსავალი არის, პირველ რიგში, ამ ყველაფრის გაცნობიერება და შემდეგ იმ 3 მილიონის გადასაწყვეტია ყველაფერი, რომელსაც საარჩევნო ხმის უფლება აქვს.

არჩევანი მათ ხელშია – უნდათ ასეთ ქვეყანაში ცხოვრება თუ რამის შეცვლა სურთ?! თუკი ცვლილების სურვილი არის, ის აუცილებლად შეიცვლება. თუკი საზოგადოება არ ეგუება ასეთ ხელისუფლებას, ის იცვლება. ასეთია კანონზომიერება.

– თუ ფარცხალაძე დაიბარა პროკურატურამ და ამ საქმეებზე გამოძიება დაიწყო, ეს რამდენად იქნება ნიშანი, რომ ხელისუფლება პოლიტიკას ცვლის?

– ძალიან მეეჭვება, უფრო სწორად კი, დარწმუნებული ვარ, რომ ამ ხელისუფლების პირობებში ეს არ მოხდება. ხელისუფლების ნება არ არის, რომ ეს საქმე ობიექტურად იქნეს გამოძიებული.

ეს ხალხი, ვინც ფორმალურ თანამდებობებზეა, იმათი გავლენის ქვეშაა, რომლებიც ქვეყანას არაფორმალურად მართავენ. მათ არ აქვთ იმის უნარი, რომ ეს ვითარება საკუთარი ნებით შეცვალონ. ამის არანაირი ნიშანწყალი არ არის, რომ მათ ამის უნარი აქვთ. ამ წლებმა სწორედ ეს გამოაჩინა და დაგვანახა.

პროკურატურა თუ როგორ იძიებს საქმეს, ეს ხომ სარალიძის მაგალითზე ვნახეთ!

– პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნა, რაც წინა ხელისუფლების დროს არც ერთხელ არ მომხდარა.

– დიახ, შეიქმნა, მაგრამ რა?! კომისიამ ვითარებას ნათელი მოჰფინა, მაგრამ, როდესაც საქმე საქმეზე მიდგა და სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგა, იქ უკვე აღარაფერი მოხდა.

– 28 ოქტომბერს თქვენ რა მოლოდინები გაქვთ?

– ყველაფერი ხალხსა და მის ნებაზეა დამოკიდებული. დღეს არსებული რეალობით უკმაყოფილება ძალიან დიდია. ხელისუფლება ცდილობს ძველი მეთოდების გამოყენებას, ადმინისტრაციულ რესურსს ვგულისხმობ. სად გაუვა და სად – არა, ამას ვნახავთ. „ქართულ ოცნებას“ მორალური უპირატესობა და ნდობა დაკარგული აქვს, ერთადერთი ადმინისტრაციული რესურსი დარჩა.

– ადმინისტრაციულ რესურსს ყველა ხელისუფლება მიმართავს სწორედ ჩვენნაირ ქვეყნებში. ამომრჩევლის ნების საწინააღმდეგო ჩარევას რამდენად ელოდებით, რომელიც შედეგებზე იქონიებს გავლენას?

– ადმინისტრაციული რესურსი მოსყიდვასა და დაშინებასთან ასოცირდება. ეს არის ამომრჩევლის ნების საწინააღმდეგო მოქმედება და სისხლის სამართლის დანაშაული.

– თქვენი ხედვით, მეორე ტური იქნება?

– თუ მასობრივი დარღვევები და ხელოვნური ჩარევები არ იქნება, მაშინ მეორე ტური გარდაუვალია. თუ ისე მოხდა, რომ ხელოვნური ჩარევები აშკარა იქნება, მაშინ სხვა პროცესები შეიძლება განვითარდეს საზოგადოებაში.

– რა პროცესები შეიძლება იყოს?

– როდესაც ადამიანებს არ ეძლევათ თავიანთი ემოციისა და შეხედულების გამოხატვის საშუალება არჩევნების გზით, ეს უკმაყოფილება უკვე სხვა ფორმებში გადაიზრდება ხოლმე. ეს ორთქლი, იცით, რომ დახურულ ქვაბში არ რჩება. მაშინ ეს ქვაბი გასკდება.

– ეს ჩვენს ქვეყანაში არაერთგზის გვინახავს. ამ შემთხვევაში შეიძლება, პროცესებმა ქუჩაში გადაინაცვლოს?

– არაფერი არ არის გამორიცხული, მაგრამ, იმედი მაქვს, რომ საზოგადოების ნება გადამწყვეტი იქნება და მას წინ ვერავინ აღუდგება. ვფიქრობ, ადმინისტრაციული რესურსი საზოგადოების განწყობის წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდება.

დემურ გიორხელიძე: „ლარის ნახტომისებურ ვარდნას არ ველოდები“

„ჩვენ ვართ იმპორტის მარწუხებში და ამიტომ არის ეს ყველაფერი ასე მგრძნობიარე“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **დემურ გიორხელიძე** აფასებს.

– ბატონო დემურ, ლარი კვლავაც განაგრძობს გაუფასურებას, საწვავის ფასი კატასტროფულად გაიზარდა და ამბობენ, რომ ეს პროცესი არ შეჩერდება. რა ხდება?

– ლართან მიმართებით ახალი და განსაკუთრებული არაფერი ხდება, საკმაოდ ადვილად საპროგნოზო სიტუაცია იყო, რომ ლარი იმოძრავებდა არანორმალური ამპლიტუდით. ამიტომ ასეც მოხდა.

– რატომ მოხდა?

– თქმა იმისა, რომ ბაზარი არეგულირებს ამას ყველაფერს, არის კრეტინიზმის უკანასკნელი დონე.

ჯერ ერთი, ჩვენ არა გვაქვს ის ბაზარი, რომელშიც თვითრეგულაციის სრულყოფილი მექანიზმები იყოს და თანაც – ბაზარი ყველაფერს არეგულირებს, ეს არ არის რეალობა. ამიტომ ის ტვინგამორეცხილი ხალხი, რომლებსაც ეკონომიკაში არაფერი გაეგებათ, საუბრობს იმაზე, რომ ბაზარი ყველაფერს არეგულირებს, იმიტომ, რომ არა აქვთ პროფესიული განათლება.

აქ პრობლემა გაცილებით ღრმაა. საბანკო სექტორში სრული მონოპოლიზაცია მოხდა. ორი დომინირებული ბანკია ბაზარზე, რომლებიც უკანასკნელ 5 წელიწადში ხდება სრული დომინანტი ბაზარზე, რაც სერიოზულ პრობლემებს წარმოქმნის. ისინი დიდ გავლენას ახდენენ ლარის კურსის ფორმირებაზე, ამიტომ ჩვენ უნდა ვიფიქროთ სხვადასხვა ვარიანტზე.



– რას იტყვით მომატებულ ფასებზე?

– რაც შეეხება ფასებს, საქართველო იმპორტზე ჩამოკიდებული ქვეყანაა, ლარი გაუფასურდა, ამიტომ ავტომატურად დაიწყო გაძვირება, თუმცა ეს გაძვირება პერმანენტულად სულ მიდიოდა.

– საწვავის ფასზე რას იტყვით?

– საწვავს რაც შეეხება, ძალიან დიდი ნახტომი განიცადა ნავთობპროდუქტების ფასმა. ახლა 80 დოლარზე მეტია ბარელი ნავთობი, თუმცა ფასები მაშინაც არ იყო ამხელა საქართველოში, როცა 145 დოლარი ღირდა ბარელი ნავთობი. ეს ძალიან კარგი მიზეზია იმაზე აპელირებისთვის, რომ ფასები იზრდება. ეს ნავთობიმპორტიორების ბრალი არ არის.

– აბა ვისი ბრალია?

– ეს თვითონ პოლიტიკის შედეგია, ისინი კი სარგებლობენ ამ სიტუაციით. ამიტომ ფასები ძალიან დიდია.

– ბატონო დემურ, საუბარია იმის თაობაზეც, რომ ინვესტორები დაფრთხნენ და ქვეყნიდან კაპიტალდაბანდების დინებაა.

– მე არ ვიცი, რას უნდა დაეიმედებინა ინვესტორები და მერე რას უნდა დაეფრთხო. ხელისუფლებისგან ინვესტორებისადმი რაღაც მუქარები გამორიცხულია. ინვესტორები არც იყვნენ საქართველოში. ის ინვესტიციები, რომლებიც ხორციელდება, საკმაოდ დაბალია და ეს არ არის სისტემური ინვესტიცია.

რა თქმა უნდა, თუ რაღაც მოძრაობები შეინიშნება და თუ ფულის გატანა დაიწყო, ეს ბაზარზე აუცილებლად აისახებოდა. არ არის გამორიცხული, რომ ეს მომენტიც არსებობს, რომ რაღაც გარკვეული რაოდენობის ფული გავიდა ქვეყნიდან.

– და ამან იმოქმედა ლარზე?

– რა თქმა უნდა. ფული ძალიან ცოტაა, დოლარის მოთხოვნა არის ქვეყანაში, მოთხოვნა ლარზე ძალიან მაღალია, ამიტომ, როგორც კი იმატებს მოთხოვნა, თავისთავად ხდება დაუბალანსებელი სიტუაცია. ეროვნული ბანკი ამას რატომღაც ისე უყურებს, ვითომ ეს ყველაფერი უმნიშვნელოა. არ არის ეს უმნიშვნელო, იმიტომ, რომ ეს ანგრევს ეკონომიკას, ძალიან სერიოზულ ზიანს აყენებს და რაღაც მაჩვენებლებით ჟონგლირება, რომ ჩვენ ძალიან კარგად ვვითარდებით, რეალობას არ შეესაბამება.

– რა იქნება უახლოეს მომავალში?

– მე ვერ გეტყვით, რა იქნება, ყოველ შემთხვევაში, აქ სტაბილურობის მომენტი არ იქნება. ალბათ უფრო ზევით აღარ წავა ლარი, თუ თვის ბოლოს აუთვისებელი თანხები გამოიყარა, რაც ინფრასტრუქტურისა და სხვა პროექტებისთვის იყო გათვალისწინებული ბიუჯეტში.

წლის ბოლომდე ორთვე-ნახევარი დარჩა. თუ ეს ფული ინტენსიურად დაიხარჯა, ეს დამატებით ზეწოლას მოახდენს ბაზარზე, ხოლო თუ ბიუჯეტის ფული ინტენსიურად არ დაიხარჯა, სხვა მხრივ ბაზარზე დამატებითი ზეწოლა არ იქნება.

– არჩევნებს რამდენად აქვს გავლენა ეკონომიკურ პროცესებზე?

– ნაკლებად, არა მგონია, რომ არჩევნები რაიმე სერიოზულ გავლენას ახდენდეს. ლარის გაუფასურება მთლიანად მიბმული იქნება იმაზე, დაიხარჯება თუ არა ბიუჯეტის ფული.

კურსის ნახტომისებურ ვარდნას არ ველი, უბრალოდ, ცუდი მოლოდინებია და ესეც სერიოზულ გავლენას ახდენს ბაზარზე. მოქალაქეებსაც ცუდი მოლოდინები აქვთ და ეს ყველაფერი ერთობლიობაში იძლევა ამ სურათს. ჩვენ ვართ იმპორტის მარწუხებში და ამიტომ არის ეს ყველაფერი ასე მგრძნობიარე. ასე რომ არ იყოს, მაშინ შედარებით უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა.

– ამ გაძვირების ფონზე პურის ფასზეც ხომ არ ელოდებით მატებას?

– ვერ გეტყვით. თუ არანორმალურად დაეცა კურსი და საწვავის ფასებიც არანორმალურად გაიზარდა, ცხადია, რაღაც ზემოქმედებას იქონიებს პურის ფასზეც. პურზე მაინც ყველაზე ბოლო ეტაპზე იქნება ზეწოლა. სხვა მხრივ კი ზეწოლას ძირითადი მოხმარების საგნები ისედაც განიცდიან.

რა ქონებით დატოვა პოსტი ქვეყნის ყველაზე მაღალანაზღაურებადმა თანამდებობის პირმა

სულხან ზუმბურიძემ „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი დატოვა.

მის შემცვლელად „გაზისა და ნავთობის კორპორაციის“ გენერალური დირექტორი დავით თვალაბეიშვილი სახელდება. როგორც „ბიზნესპრესნიუსს“ სსე-ში განუცხადეს, ახალი ხელმძღვანელი კომპანიაში ჯერ არ მისულა.

სულხან ზუმბურიძე საქართველოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი თანამდებობის პირი იყო. ის „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე 2007 წლის დეკემბერში დაინიშნა და თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე, სულ ახლახანს დატოვა.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, თუ რა ქონებას ფლობს სულხან ზუმბურიძე და არის თუ არა იმ მაღალანაზღაურებად ჩინოვნიკებს შორის, რომელთაც პრემიერ-მინისტრზე მეტი ხელფასი აქვთ.

2018 წლის 31 მარტს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ზუმბურიძე ფლობს ბორჯომში, 500 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთს, რომელიც 2016 წელს 25.000 დოლარად შეიძინა და თბილისში მდებარე 150 კვ. მეტრი ფართობის ბინას.

რაც შეეხება მის ფინანსურ მდგომარეობას, დეკლარაციის შევსების მომენტში სულხან ზუმბურიძეს, „საქართველოს ბანკის“ სახელფასო ანგარიშზე – 9.740; საკრედიტოზე – 10.000 ევრო და 9.200 ლარი; სახელფასოზე 8.487 დოლარი ჰქონდა.

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, გასული წლის განმავლობაში ზუმბურიძის ანაზღაურებამ „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე – 341.700 ლარი შეადგინა. (თვეში 28.475 ლარი).

ამასთან, დეკლარაციის შევსების მომენტში ზუმბურიძეს 10.000 ლარის ოდენობით სახელფასო ოვერდრაფტი ჰქონდა, რომლის შედეგადაც მისმა გასავალმა წინა წელს 71.000 ლარი შეადგინა. ასევე 10.000 ევროს ოდენობის საკრედიტო ბარათი, რომლის გასავალიც წლიურად 37.000 ევრო იყო. მის სახელზე იყო ასევე 160.000 დოლარის იპოთეკა, რომლის შედეგადაც ზუმბურიძის გასავალმა 2017 წელს 107.894 დოლარი შეადგინა და 20.000 ლარის იპოთეკა, რომლის შედეგადაც წლიური გასავალი – 980 ლარი იყო.

გარდა ამისა, ბორჯომის მიწის კეთილმოწყობასთან დაკავშირებული ხარჯის სახით ზუმბურიძის გასავალმა წინა წელს – 30 000 ლარი; ხოლო მშობლებისთვის ბინის შეძენაზე კი 135.000 დოლარი შეადგინა. რაც შეეხება შემოსავალს, მშობლების ბინის გაყიდვიდან საანგარიშო პერიოდში 105.000 დოლარი მიიღო.

სულხან ზუმბურიძეს ჰყავს მეუღლე და 3 შვილი. მისი მეუღლე ფლობს 80 კვ. მეტრი ფართობის ბინას თბილისში. მისმა ანაზღაურებამ 2017 წელს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში მთავარ სპეციალისტად მუშაობისას 9.848 ლარი შეადგინა. ამასთან, დეკლარაციის შევსების მომენტში ჰქონდა საკრედიტო ბარათი 5.000 ლარის ოდენობით, რომლის შედეგადაც გასავალმა 46.000 ლარი შეადგინა. რაც შეეხება მის ფინანსურ მდგომარეობას, ქონებრივი დეკლარაციის შევსების მომენტში სახელფასო ანგარიშზე 9.542 ლარი; საკრედიტოზე – 5.000 ლარი, მიმდინარეზე კი 104 ლარი ჰქონდა. ამასთან, ზუმბურიძის ორ 6 წლის შვილებს ანაბარზე 10. 39-10.938 დოლარი აქვთ.

ცნობისთვის, სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე) ელექტროენერგიის გადამცემი სისტემის ოპერატორია. კომპანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფლობს და ექსპლუატაციას უწევს 3.350 კმ. სიგრძის ელექტროგადამცემ ხაზებსა და 90 ქვესადგურს. სსე, ასევე, მართავს მეზობელ სახელმწიფოებთან დამაკავშირებელ ყველა ელექტროგადამცემ ხაზს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სსე-ს აქციების სრულ პაკეტს სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი ,საპარტნიორო ფონდი“ ფლობს.

გორის რაიონში თაფლის გადამამუშავებელი ყველაზე დიდი საწარმო შენდება

გორის რაიონის სოფელ ბერბუკში საქართველოში თაფლის გადამამუშავებელი ყველაზე დიდი საწარმო შენდება.

საწარმო აღიჭურვება თაფლის წარმოების სრული ციკლისათვის საჭირო თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი დანადგარებით, სადაც შესაძლებელი იქნება დღეში არანაკლებ ორასი ტონა თაფლის მიღება, გადამუშავება, დასაწყობება და სხვადასხვა მოცულობით ჩამოსხმა. საწარმოში ასევე მოხდება ფიჭის დამზადება.

როგორც „კომერსანტს“ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი მიშელაძემ განუცხადა, თაფლის გადამამუშავებელი საწარმო წლის ბოლომდე ექსპლუატაციაში სრულად აღჭურვილი შევა. ხოლო 2019 წლიდან საწარმო ამუშავდება. პროექტში ჯამში დაახლოებით 2 მილიონი ლარის ინვესტიცია ხორციელდება.

დადგენილი კრიტერიუმებით, პროგრამაში მონაწილე კოოპერატივში გაერთიანებული კოოპერატივების რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 35 კოოპერატივს, რომელთაც საკუთრებაში უნდა გააჩნდეთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ აღრიცხული არანაკლებ 7 000 სკა.

მეფუტკრეებს სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის შედეგად შესაძლებლობა მიეცემათ, თაფლის კოოპერაციულ საწარმოში გადაამუშაონ თაფლი და ერთიანი ბრენდის ქვეშ მოახდინონ რეალიზება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე.

საწარმოს მეპაიე წევრებს, ასევე საშუალება ექნებათ აღნიშნულ საწარმოში მომსახურება, საკუთარი ბრენდის ქვეშ თაფლის ჩამოსხმა და რეალიზება მოახდინონ.

გორის მუნიციპალიტეტში თაფლის გადამამუშავებელი საწარმო ბენეფიციარ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს საკუთრებაში 30% თანადაფინანსებით გადაეცა, რომლის გადახდას კოოპერატივი 8 წლის განმავლობაში უზრუნველყოფს.

თაფლის გადამამუშავებელი საწარმო შენდება მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

„მსოფლიო ბაზარზე სამედიცინო მარიხუანის პროდუქციის მოთხოვნის 1% საქართველომ რომ დააკმაყოფილოს, ქვეყანაში დიდი შემოსავალი იქნება“

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის პროგნოზით, დაახლოებით 2025 წლამდე სამედიცინო მარიხუანის პროდუქციის გამოშვება ორმაგდება და დაახლოებით 25-დან 50 მილიარდ დოლარამდე იზრდება – როცა არის პოტენციალი, რომ ამ მიმართულებით მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნა ორმაგდება, მისი თუნდაც 1% საქართველომ რომ დააკმაყოფილოს, დიდი შემოსავალი იქნება ქვეყანაში, – აღნიშნული განცხადება ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძემ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებთან შეხვედრისას გააკეთა.

მისივე თქმით, კანაფის მოყვანა-კულტივაციიდან მისაღები შემოსავლები დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა დაშვებებით მიიღებს პარლამენტი კანონს.

– რა განცხადებებიც გაკეთდა, საუბარი იყო ეკონომიკაში დამატებით შემოსავალზე. ეს ძალიან ბევრ დაშვებაზეა დამოკიდებული, თუ რა ტიპის კანონი იქნება მიღებული, თუ საერთოდ იქნა კანონი მიღებული, რა დაშვებები იქნება კანონით, რამდენი ლიცენზიანტი შეიძლება არსებობდეს, რამდენი ჰექტარი შეიძლება არსებობდეს. შემიძლია გითხრათ, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის პროგნოზებით, დაახლოებით 2025 წლამდე სამედიცინო მარიხუანის პროდუქციის გამოშვება ორმაგდება და დაახლოებით 25-დან 50 მილიარდ დოლარამდე იზრდება. ეს ის პროგნოზია, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას აქვს. კანონპროექტში ბევრი რაღაც არ წერია, რაც უნდა გაიწეროს. არ წერია ბევრი რიცხვი, რაზეც შემდგომში კონკრეტული გათვლები იქნება დამოკიდებული. როცა არის პროგნოზი და პოტენციალი, რომ ამ მიმართულებით მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნა ორმაგდება, მისი თუნდაც 1% რომ საქართველომ დააკმაყოფილოს, დიდი შემოსავალი იქნება არათუ ბიუჯეტში, არამედ ქვეყანაში, – განაცხადა გიორგი კაკაურიძემ.

ვაჟა-ფშაველაზე გიორგი ფიცხელიანის მკვლელობისთვის 2 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მომხდარი გახმაურებული მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით 2 პირი დააკავა.

ვაჟა-ფშაველას პირველ კვარტალში 2017 წლის 24 ივნისს, გვიან ღამით, ცეცხლსასროლი იარაღით 27 წლის გიორგი ფიცხელიანი მოკლეს. თვითმხილველთა ინფორმაციით, სროლას წინ ჩხუბი უძღოდა. დაშავებული ახალგაზრდა საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ფიცხელიანს 7 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, გიორგი ფიცხელიანი, 2009 წელს ქუთაისში მომხდარ ინციდენტში ფიგურირებდა. ფიცხელიანმა მასთან მყოფ პირთან ერთად ორი ადამიანი იარაღით დაჭრა, რის გამოც მან სასჯელიც მოიხადა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების და უბნის ინსპექტორების სამმართველოების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მომხდარი გახმაურებული მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით 2 პირი დააკავეს.

პოლიციამ 1986 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ვ.კ. თბილისში, გ. ერისთავის ქუჩაზე დააკავა. იგი 2017 წლის 24 ივნისს თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, საფეხბურთო მოედანზე დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისთვის იძებნებოდა. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ამავე სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაულის შეუტყობინებლობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებებით დაკავებულია 1997 წელს დაბადებული გ.ბ.

გამოძიებით დადგინდა, რომ ვ.კ.-მ 2017 წლის 24 ივნისს თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე ერთ-ერთ საფეხბურთო მოედანზე, ანგარიშსწორების მიზნით, 1990 წელს დაბადებულ გ.ფ.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ვ.კ.-ს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისთვის ბრალი დაუსწრებლად წარედგინა და მასზე ძებნა გამოცხადდა.

სამართალდამცველებმა ძებნილი პირი გ. ერისთავის ქუჩაზე, თავისი ახლობლის – გ.ბ.-ს მიერ ნაქირავებ ბინაში დააკავეს.

გამოძიება ვ.კ.-ს მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს.

პოლიციამ, ვ.კ.-ს ახლობლის – გ.ბ.-ს დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, მაკაროვის სისტემის 2 ცეცხლსასროლი იარაღი და 3 მჭიდი ამოიღო.

სამართალდამცველებმა 1997 წელს დაბადებული გ.ბ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიება საქართველოს სსკ-ს 376-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს“, – ნათქვამია შს სამინისტროს განცხადებაში.

საბერძნეთში ქართველი ემიგრანტი სოფო წიკლაური მოკლეს

„სოფო ნაწამებია, ხელის მტევნები აქვს მოტეხილი, სახეზე სიგარეტის ნამწვავები ჰქონდა... ბავშვი დივანზე უგონოდ ეგდო, ძაღლი კი სახეს ულოკავდა“

საბერძნეთში 23 წლის ქართველი გოგონა, სოფო წიკლაური, გარდაცვლილი იპოვეს.

მას ჩვილი დარჩა, რომელიც ათენის ერთ-ერთ ბავშვთა საავადმყოფოშია გადაყვანილი.

სოფო წიკლაურის ოჯახის წევრები ამბობენ, რომ ახალგაზრდა დედა მკვლელობის მომენტში 2 თვის ალექსანდრესთან და ძაღლთან ერთად იყო.

– ნაწამებია, ხელის მტევნები აქვს მოტეხილი, სახეზე სიგარეტის ნამწვავები ჰქონდა. ბავშვი გაბრუებული ჰყავდათ, რომ არ ეტირა. სატელეფონო ზარებს რომ არ პასუხობდა, მეგობრები მის მოსაძებნად წავიდნენ, კარი რომ შეამტვრიეს, სოფო ძირს ეგდო, ბავშვი დივანზე უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა, ძაღლი კი სახეს ულოკავდა, – აცხადებს ერთ-ერთი მეგობარი.

სოფო წიკლაურის ახლობლები ყაჩაღობის ვერსიასაც არ გამორიცხავენ. მათი ინფორმაციით, დაკარგულია წიკლაურის კუთვნილი მობილური ტელეფონი.

– იმასაც ამბობენ, რომ სახლში გარკვეული თანხა ინახებოდა, – განაცხადა მეგობარმა.

სოფოს ბებია და ბაბუა, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, ფიქრობენ, რომ ახალგაზრდა ნაცნობმა მოკლა.

კიდევ ერთი თვითმხილველი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა ქალი ანტენის კაბელით დაახრჩვეს.

სოფო წიკლაური სოფელ განახლების მკვიდრია და ბოლო 4 წელია, ემიგრაციაში იმყოფებოდა.

მას მამა ადრეულ ასაკში გარდაეცვალა.



გოგონა საბერძნეთში ერთ-ერთ ოჯახში მუშაობით ირჩენდა თავს.

გარდაცვლილი გოგონას ბაბუა ავთო წიკლაური აცხადებს, რომ უცხო ადამიანი იმ სახლს, სადაც გარდაცვლილი ცხოვრობდა, ვერ მიაგნებდა.

– ნახეს, კარი დაკეტილია, ვერ ხსნიან კარს, ადგნენ და შეანგრიეს კარი მეზობლებმა, შევიდნენ და ნახეს სიტუაცია, იატაკზე გდია ბავშვი მკვდარი, შვილი კიდევ ლოგინშია, სძინავს იმას, ფაქტობრივად, გათიშული ჰყავდა...

არავინ არ ვიცით, იქ რა მოხდა, რატომ აწამეს. თუ ვინმეს ჯავრი ჰქონდა იმის მეუღლის რამე, შეიძლება ამის გამო იყარეს, რომ ის დაკავებული იყო. იმის ამხანაგები, ძმაკაცები ხომ ჰყავდა იმ ბიჭს იქ შეიძლება ვინმესთან რამე ჰქონდა. უცხო არ იქნებოდა, უცხო იმ სახლს ვერ მიაგნებდა, ის არის, ვინც იცოდა, სად ცხოვრობდა, სოფო მარტო იყო თუ არ იყო მარტო, ეს იცოდა იმან, – ამბობს ავთო წიკლაური.

***

ფეისბუქში დაწერეს:

„სოფო სამი წლის წინ გავიცანი, ახალგაზრდა გოგონას ჭკვიანი, კრიალა თვალებიდან სევდანარევი ტკივილი მიყურებდა. მივხვდი, ცხოვრების სუსხიან წლებს მარტო უმკლავდებოდა. არადა, სულ 23 წლის თუ იქნებოდა. მინდოდა დავხმარებოდი, ვთხოვე, მოსულიყო ჩვენს „ქართულ სახლში“, დამპირდა, კიო, თითქოს წამიერად მოსწყდა წარსულის წამებს, გაიხარა ჩვენი შეხვედრით, მაგრამ არ მოვიდა, დამეკარგა.

ამ დღეებში ბავშვის სურათი გადმომიგზავნა, ბოდიში მომიხადა, რომ „დავიკარგეთო.“ დღეს კი შავ ფარდად დაეშვა სიყვარული, ოცნება, იმედი და ყველა მისი საიდუმლო. ბავშვივით გავშრი... სოფო დავკარგეთ, ალბათ უკანასკნელად ცრემლი მოსწყდა განაწამებ დედას, რომელიც მის ერთი თვის შობილს ხარბად უყურებდა და შველას ითხოვდა.

მისი პატარა დედას ვერასოდეს ნახავს, ტრაგიკულად დამთავრდა ამ პატარა გოგონას ყოფა ემიგრაციაში. ბედს წინასწარ ვერავინ გათვლის. ემიგრაციაში კი მსხვერპლი იზრდება. ვერაფერს ვშველით...“

***

სოფო წიკლაურის გადმოსვენების პროცედურაში ჩართულია ათენში საქართველოს საკონსულო. დაწყებულია გამოძიება და საქართველოს საკონსულო საგამოძიებო უწყებებთან მუდმივ კონტაქტზეა.

ბერძნული საგამოძიებო ორგანოები მომხდარის დეტალებზე არ საუბრობენ.

პროკურორი: „ვეფხია ბაქრაძე თაკო გამრეკელაშვილის შვილს დედამისის მკვლელობაში მონაწილეობას სთავაზობდა“

25 წლის თაკო გამრეკელაშვილის მკვლელობაში მონაწილეობას ბრალდებული ვეფხია ბაქრაძე მოკლულის მცირეწლოვან შვილს სთავაზობდა.

ეს ინფორმაცია ჟურნალისტებთან საქმის პროკურორმა გია შაიშმელაშვილმა დაადასტურა.

– აღნიშნულის შესახებ დადასტურდა მოწმეთა დაკითხვებით, მათ შორის, ამასთან დაკავშირებით, მცირეწლოვანმაც ისაუბრა, – აცხადებს შაიშმელაშვილი.

მისი განმარტებით, 12 ოქტომბერს დაკითხულმა მცირეწლოვანმა ბარნოვის ქუჩაზე მომხდარი დანაშაული სწორად აღიქვა და სასამართლოსაც სწორი ჩვენება მიაწოდა.

– დაიკითხა არასრულწლოვანი, გარდაცვლილის შვილი, რომელიც უშუალოდ შეესწრო ჩადენილ მკვლელობას და დეტალურად გადმოსცა, თუ რა ვითარებაში მოკლა ბრალდებულმა ის.

ამავდროულად, დაიკითხა ორი ფსიქოლოგი. ერთი ფსიქოლოგი პირველი გამოკითხვის დროს ესწრებოდა არასრულწლოვანის ჩვენებას, მეორე ფსიქოლოგმა არასრულწლოვანთან ჩადენილი დანაშაულის შემდეგ იმუშავა და შეაფასა მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

ფსიქოლოგების დასკვნის მიხედვით და მათი ჩვენებებით დადგენილია, რომ არასრულწლოვანმა სწორად აღიქვა მოვლენები და, შესაბამისად, სწორად გადმოსცა სასამართლოზე. ორივე ფსიქოლოგმა აღნიშნა, რომ არასრულწლოვანმა განიცადა ფსიქოლოგიური ტანჯვა, როცა თავისი დედის მკვლელობას შეესწრო, – აცხადებს პროკურორი.

ბარნოვის ქუჩაზე საზარელი მკვლელობა მიმდინარე წლის 13 აპრილს მოხდა.

საქმის მასალების თანახმად, ვეფხია ბაქრაძემ ახალგაზრდა გერი განსაკუთრებული სისასტიკით, მცირეწლოვანების თვალწინ მოკლა.

გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში მოკლულის და, თათია გამრეკელაშვილი, წერს, რომ პირველად 5 წლის დისშვილმა უამბო ბარნოვის ქუჩაზე მომხდარი სასტიკი მკვლელობის დეტალები. მცირეწლოვანი ბავშვი, 4 წლის ძმასთან ერთად, დეტალურად ყვებოდა, როგორ გამოსჭრეს ყელი დედას და როგორ დატოვა დამნაშავემ შემთხვევის ადგილი.

რაც შეეხება 63 წლის ვეფხვია ბაქრაძეს, ის გერის მკვლელობას აღიარებს, თუმცა არა – დამამძიმებელ გარემოებაში.

თუ გამოძიებით დადასტურდა, რომ ბრალდებულმა თამარ გამრეკელაშვილის შვილი აიძულა, დედისთვის დანა ჩაერტყა და ეს სისასტიკე აყურებინა, მაშინ მას სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

„გვამი ბრეზენტის ქსოვილში გაახვიეს და რიონში გადააგდეს“

სასამართლომ დამნაშავედ 2 პირი ცნო

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებული ნ.ტ. და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვაში ბრალდებული რ.გ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 31 დეკემბერს, ნ.ტ. და რ.გ. შეშის დამზადების მიზნით, აბაშის მუნიციპალიტეტში მდებარე ანჯელის ტყის მასივში იმყოფებოდნენ, სადაც მათ ცხენით მოძრავი ი.კ. შეხვდათ.

ნ.ტ.-მ წარსულში არსებული დაპირისპირების გამო, განზრახ მოკვლის მიზნით ი.კ.-ს სანადირო თოფიდან ორჯერ ესროლა. მიღებული ჭრილობების შედეგად ი.კ. ცხენიდან ჩამოვარდა, რის შემდეგაც ნ.ტ.-მ მას თავის არეში ესროლა.

დანაშაულის ჩადენის შემდეგ ნ.ტ. და რ.გ.-მ ი.კ. ბრეზენტის ქსოვილში გაახვიეს, ნ.ტ.-ს საკუთრებაში არსებულ მიკროავტობუსში მოათავსეს და შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე კილომეტრში მდინარე რიონში გადააგდეს.

ჩატარებული აქტიური სამძებრო-სამაშველო ღონისძიებების მიუხედავად, ი.კ.-ს გვამი ვერ იქნა აღმოჩენილი.

სამართალდამცველებმა ნ.ტ. და რ.გ. 2018 წლის 11 იანვარს დააკავეს.

ნ.ტ.-ს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა), ხოლო რ.გ.-ს 375-ე მუხლით (განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად) წარედგინათ. მათ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ორივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად ნ.ტ.-ს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, ხოლო რ.გ.-სთან, გამოძიებასთან მაღალი ხარისხის თანამშრომლობის გათვალისწინებით, გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა პირობით იმავე გამოსაცდელი ვადით.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგბია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

ნათელა სამუშია: თმა საშინლად მცვიოდა. გამოვიყენე ლამარა თოდუას თმის სავლებები. ერთ თვეში კარგი შედეგი მომცა. მკურნალობას აუცილებლად გავაგრძელებ.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ უკრაინას ავტოკეფალიის აღიარების საგზაო რუკა გადასცა

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს სხდომას ყველა მოუთმენლად ელოდა. ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ უკრაინის ეკლესიას, შესაძლოა, ავტოკეფალიის დამადასტურებელი დოკუმენტი (ტომოსი) მიეღო, კრემლი შეაშფოთა. პუტინის თანაშემწე დიმიტრი პესკოვმა განაცხადა:

– უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის დამტკიცება მსოფლიო მართლმადიდებლობის გათიშვას ნიშნავს! რუსეთიც ამისი კატეგორიული წინააღმდეგია!

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს სინოდზე კი ცხარე დისკუსია გაიმართა. უკრაინისათვის ტომოსის (ავტოკეფალიის დამადასტურებელ დოკუმენტი) მისანიჭებლად რიგი პროცედურების გავლა იყო აუცილებელი. საბოლოოდ კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. პატრიარქ ფილარეტს ანათემა მოეხსნას;

2. უკანონოდ იქნეს ცნობილი 1686 წელს მოსკოვის მიერ კიევის მიტროპოლიის ანექსია;

3. კიევის საპატრიარქო გამოდის მოსკოვის დაქვემდებარებიდან და მსოფლიო საპატრიარქოს პირდაპირ დაქვემდებარებაში გადადის.

თანახმად ამ დადგენილებისა, კიევის საპატრიარქო კანონიკურ ეკლესიად იქცა. პატრიარქ ფილარეტსაც ანათემა მოეხსნა. ამით გაბათილდა მოსკოვის უმთავრესი კოზირი, რომ კიევის საპატრიარქო უკანონოა, პატრიარქი ფილარეტი კი – თვითმარქვია. ასევე გაბათილდა რუსების მეორე კოზირი, რომ უკრაინა რუსეთის კანონიკური ტერიტორიაა და, საეკლესიო კანონების თანახმად, ავტოკეფალიის საკითხიც რუსეთმა უნდა გადაწყვიტოს.

ახლა კიევის საპატრიარქო უშუალოდ კონსტანტინეპოლის დაქვემდებარებაშია. ავტოკეფალიის საკითხსაც არა მოსკოვი, არამედ მსოფლიო პატრიარქი გადაწყვეტს.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ უკანონოდ იქნა აღიარებული 1686 წელს მოსკოვის საპატრიარქოს მიერ კიევის მიტროპოლიის ანექსია. ამ დადგენილებით გზა გაეხსნა ყველა უკრაინული ეკლესიის გაერთიანებას კიევის საპატრიარქოსა და უშუალოდ პატრიარქ ფილარეტის გარშემო. უკრაინელებს ფაქტობრივად გადაეცათ საგზაო რუკა საიმისოდ, რომ მათი ავტოკეფალია ოფიციალურად იქნეს აღიარებული.

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დადგენილებამ მოსკოვის აგრესიული რეაქცია გამოიწვია. დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ ეს არის პოლიტიკური და არა რელიგიური მოტივებით მიღებულ გადაწყვეტილება, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული.

ვლადიმერ ჟირინოვსკი უფრო შორს წავიდა. მან უკრაინის ოკუპაცია მოითხოვა.

– გასული საუკუნის 20-30-იან წლებში უკრაინელები ასევე ხტუნაობდნენ და ბოლოს გოლოდომორი მიიღეს. დროა, სტალინის მიერ დაწყებული საქმე ბოლომდე მივიდეს! თუკი თურქეთს აქვს უფლება, სირიაში ჯარი შეიყვანოს, რათა თავისი თვისტომები დაიცვას, ჩვენ რატომ არ შეგვიძლია, იგივე უკრაინაში გავაკეთოთ?! – ამბობს კრემლის სტაჟიანი კლოუნი.

მარინ ლე პენს ბრალი დაუმძიმდა

საფრანგეთის სასამართლომ მემარჯვენე პარტია „ეროვნული გაერთიანების“ ლიდერ მარინ ლე პენის წინააღმდეგ ბრალი დაამძიმა.

პარასკევს მარინ ლე პენი ევროპარლამენტარების თანაშემწეების ფიქტიური დასაქმების საქმეზე პარიზის პროკურატურის გამომძიებელი მოსამართლეების წინაშე წარდგა. მისი გარემოცვის ინფორმაციით, მოსამართლეებმა წარდგენილი ბრალდებების გადაკვალიფიცირება მოახდინეს.

როგორც მიმდინარე წლის ივლისში გახდა ცნობილი, პარიზის პროკურატურის გამომძიებელმა მოსამართლეებმა გადაწყვიტეს, შეეჩერებინათ სახელმწიფო დოტაციის სახით 2 მილიონი ევროს გადახდა, რაც „ეროვნულ გაერთიანებას“, სხვა პარტიების მსგავსად, ბიუჯეტიდან უნდა მიეღო.

გამოძიება პარტიას ევროპული სახსრების მითვისების მიზნით ფარული სისტემის შექმნაში ადანაშაულებს.

თურქეთი: ჟურნალისტი ჰაშქაჯი საუდის არაბეთის საკონსულოში მოკლეს

თურქეთის ხელისუფლებამ ამერიკის პოლიციას წარუდგინა ვიდეოჩანაწერები, რომლებითაც დასტურდება, რომ გაუჩინარებული ჟურნალისტი ჯამალ ჰაშქაჯი სტამბოლში საუდის არაბეთის საკონსულოში მოკლეს.

ჩანაწერებზე ისმის ჰაშქაჯისა და არაბულ ენაზე მოსაუბრე მამაკაცების ხმები. ისმის, როგორ კითხავდნენ მას, შემდეგ კი როგორ აწამეს და მოკლეს.

თურქების თქმით, ეს ჩანაწერები ადასტურებს, რომ ჰაშქაჯი ცოცხალი აღარაა და რომ მის მკვლელობაში საუდის არაბეთია გარეული.

წარმოშობით საუდელი ჟურნალისტი ჯამალ ჰაშქაჯი ერ-რიადის მიმართ კრიტიკული განცხადებებით არის ცნობილი. 2017 წელს მან სამშობლო დატოვა და საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა. მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს ის სტამბოლში საუდის არაბეთის გენერალურ საკონსულოში მივიდა მას შემდეგ, რაც საკონსულოს თანამშრომლები მას ტელეფონით დაუკავშირდნენ და გარკვეული დოკუმენტების ხელმოწერის მიზნით საკონსულოში მისვლა სთხოვეს.

ჰაშქაჯი საკონსულოში საცოლესთან ერთად მივიდა, თუმცა ის შენობაში არ შეუშვეს. შესვლიდან 5 საათის შემდეგ საკონსულოში ჟურნალისტის საცოლეს განუცხადეს, რომ ჰაშქაჯი უკვე წავიდა.

სვეტლანა ალექსიევიჩი: „პუტინის რუსეთში ცხოვრება საშინელებაა!“

ცნობილმა ბელორუსმა მწერალმა და ნობელის პრემიის ლაურეატმა სვეტლანა ალექსიევიჩმა განაცხადა, რომ დღეს რუსეთში ჟურნალისტის პროფესია საშიში გახდა. ჟურნალისტს, რომელიც სისტემას არ ემსახურება, უბრალოდ, კლავენ.

– ამრიგად, ისეთი ფორმალობა, როგორებიცაა სასამართლო, პროკურორები, ვექილები, ელემენტარულად, საჭირო აღარაა. ყველაფერი სწრაფად და მარტივად წყდება, – თქვა ალექსიევიჩმა.

მწერალმა ხაზი გაუსვა, რომ რუსი ჟურნალისტების უმრავლესობა არსებულ სისტემას ემსახურება. თვით რუსული პენ-კლუბიც კი უშიშროების კონტროლქვეშაა.

– პუტინის რუსეთში ცხოვრება საშინელებაა, – ამბობს ალექსიევიჩი.

ვლადიმირის ცენტრალში 20-მა პატიმარმა ვენები გადაიჭრა

ვლადიმირის ცენტრალურ იზოლატორში 20-მა პატიმარმა ვენები გადაიჭრა. ამით მათ გამოხატეს პროტესტი ვლადიმირის ნომერ 3 კოლონიაში შესაძლო გადაგზავნის გამო.

ხსენებულ კოლონიას სიკვდილის ბანაკს უწოდებენ. იქ პატიმრებს აუპატიურებენ, სცემენ, აწამებენ და კლავენ.

ვლადიმირის ცენტრალური იზოლატორის ტუსაღების მიერ ვენების გადაჭრა სასოწარკვეთილების აქტია.

საბერძნეთი-თურქეთის საზღვარზე 3 ქალის ცხედარი იპოვეს

საბერძნეთში იძიებენ სამი ქალის მკვლელობის საქმეს, რომელთა ცხედრებიც მდინარე მარიცას სანაპიროზე იპოვეს. მათ დანით მიყენებული მრავლობითი ჭრილობა აღენიშნებათ.

დაღუპულები აზიური წარმოშობის არიან. მათი სავარაუდო ასაკებია: 15-20 წელი, 18-25 წელი და 20-30 წელი.

სავარაუდოდ, დანაშაულის მოტივი ძარცვა არაა, რადგან ერთ-ერთ დაღუპულს ოქროს სამკაულები ისევ ეკეთა.

ოფიციალური ინფორმაციით, 2018 წლის პირველ ნახევარში მდინარე მარიცას გადაკვეთით 8.400-მა მიგრანტმა და თავშესაფრის მაძიებელმა ცადა საბერძნეთში გადასვლა.

ეს მდინარე საბერძნეთისა და თურქეთის საზღვარს მიუყვება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

სოლომონ კვირკველია: „ჩემი ოცნება საქართველოს ნაკრებთან ერთად ევროპირველობაზე თამაშია“

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის ლოკომოტივის მცველი სოლომონ კვირკველია ერთადერთი ქართველია, რომელიც სადღეისოდ ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს.

კვირკველია რუსეთში ძალიან პოპულარულია, ამიტომაც მასთან ვრცელი ინტერვიუ ხშირად ჩნდება პრესის ფურცლებზე. ჟურნალისტებს აინტერესებთ ყველაფერი – ჩემპიონთა ლიგის ჰიმნის ემოცია, ბავშვის დაბადება, მშობლები, საქართველოს ნაკრები, რომელიც ოცნებობს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრაზე.

– აქამდე გიცნობდით, როგორც საიმედო მცველს, აღმოჩნდა, რომ მშვენიერი პირველი პასიც გაქვთ.

– ჩვენ გვყავს გუნდში მცველი, რომელსაც მშვენიერი პასი აქვს – ვერდან ჩორლუკა. ჩემი მთავარი ამოცანა ბურთის ართმევაა. ლოკომოტივში გადასვლის შემდეგ გაცილებით თავდაჯერებულად ვთამაშობ. ვუმატებ კიდეც და ყველა კომპონენტს დამატებით ვამუშავებ ვარჯიშებზე. იმედი მაქვს, რომ დროდადრო უკეთესი პასი მექნება.

– ამისთვის ცალკე მუშაობთ?

– იგორ დენისოვთან და დიმა ტარასოვთან ერთად ვარჯიშებზე ვთამაშობ, ვინ გაარტყამს ბურთს ხარიხას. ჯერჯერობით ვაგებ. ყველაზე უკეთ დენისოვი ასრულებს, რომელმაც ნახა თავისი ადგილი და 5-დან 3-ს აუცილებლად ახვედრებს. მე – სტაბილურად 2-ს.

– საბა კვირკველია ჩემპიონობამდე და ჩემპიონობის შემდეგ ერთი და იგივე ფეხბურთელია?

– არა მარტო ფეხბურთელისთვის, არამედ ნებისმიერი სპორტსმენისთვის ტიტული მნიშვნელოვანია. როდესაც კარიერას დაასრულებ, რაღაც ხომ უნდა გქონდეს სახლში, რისთვისაც თამაშობდი. მთავარია, თავის ვირწმუნო. მივხვდი, რომ შემიძლია, ფეხბურთში რამეს მივაღწიო. სახლში 2 ოქროს მედალი მაქვს – თასისა და ჩემპიონობის. სასიამოვნოა მათი ყურება.

– ეს კრიტიკის პასუხია?

– კრიტიკას არაფერი უნდა უპასუხო. ჯანსაღ კრიტიკას პატივისცემით ვექცევი და ხანდახან სასარგებლოცაა. არ მინდა, სულ ის მითხრან, რომ კარგად ვთამაშობ. როდესაც მაკრიტიკებენ, უფრო ბევრს ვმუშაობ. ეს მარტო ფეხბურთში კი არა, ცხოვრებაშიც.

– მედლებთან ერთად გულშემატკივრებმა გადმოგცეს „რკინის რელსი“, როგორც სეზონის საუკეთესო ფეხბურთელს.

– ეს ყველაზე მთავარი იყო. საერთოდ, ყველაზე მაგარი გულშემატკივრები გვყავს. მათ გამოგვიცხადეს ნდობა და ჩვენც ყველაფერი გავაკეთეთ მათთვის. ჩვენ ტიტული მარტო საკუთარი თავისთვის არ მოგვიგია, არამედ კლუბისთვის და გულშემატკივრებისთვის. ახლა უფრო მეტად გვაფასებენ. ჩემპიონთა ლიგაზე გასვლით კი, მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ არსებობს მოსკოვის ლოკომოტივი. ტრიბუნაზეც უფრო მეტი მაყურებელია. მახსოვს, როდესაც ყაზანის რუბინის შემადგენლობაში ლოკოს წინააღმდეგ ვთამაშობდი, 3-4 ათასამდე ადამიანი თუ დადიოდა სტადიონზე.

– რას ფიქრობდით, როდესაც რუბინის მწვრთნელი ხავი გრასია შემადგენლობაში არ გაყენებდათ?

– იმ ისტორიაში ფეხბურთი ნულს უდრის. გრასია, უბრალოდ, არ მათამაშებდა. გუნდი რომ პირველ ადგილზე ყოფილიყო და დაცვაში საიმედოდ ეთამაშა, ხმას არ ამოვიღებდი. სტრესი მქონდა – ნახევარი წელი ვვარჯიშობდი და არ ვიცოდი, რისთვის. რომ არა ლოკომოტივი და სიომინი, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ, ალბათ ახლა ფეხბურთს არ ვითამაშებდი. ასევე ნდობა გამომიცხადა საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა. ყოველთვის მეუბნებოდა – სოლომონ-ჩიკ, აკონტროლე წონა, ივარჯიშე, ნაკრებში მჭირდები. საქართველოს ნაკრები რომ არ ყოფილიყო, მართლა არ ვიცი, ყველაფერი როგორ დასრულდებოდა. რუბინში პირდაპირ მითხრეს, რომ სახლში წავსულიყავი, ხელფასს გადაგიხდით, ჯარიმები არ იქნებაო. ვხვდებოდი, რომ არასწორად მექცეოდნენ, მაგრამ ჩუმად ვერ დავჯდებოდი. ფსიქოლოგიურად ძალიან გავწვალდი.

– ჩემპიონთა ლიგა რუბინთან და ლოკომოტივთან ერთად სხვადასხვა რამაა?

– რა თქმა უნდა. რუბინთან ერთად მხოლოდ საკვალიფიკაციო ტურნირზე ვითამაშე. კიევის დინამო დავამარცხეთ, რომელსაც მაშინ სიომინი წვრთნიდა. გასვლაზე 2:0 ვძლიეთ, სახლში 2:1. შემდეგი რაუნდი კი ლიონთან წავაგეთ. ჩემპიონთა ლიგა საკლუბო ფეხბურთის მთავარი მწვერვალია. ამაზე მაგარი არაფერი არაა. თუ ამ ტურნირზე მოხვდი, ე.ი. კარგ გუნდში თამაშობ.

– როგორი იყო ემოცია, როდესაც სტამბოლში ჩემპიონთა ლიგის ჰიმნი მოისმინეთ?

– როდესაც ჰიმნი ჩართეს, ცოტა დამაკლდა ტირილამდე. ეს იყო უზარმაზარი კაიფი, ოცნების ასრულება. ახლა სხვა ოცნება მაქვს – ჯგუფიდან გასვლა.

– ჯგუფში კი საქმეები კარგად ვერ მიგდით.

– ჯერ არაფერი დასრულებულა. ჩვენს გუნდზე ბევრ ცუდს ლაპარაკობენ. თუმცა, შარშანაც ასე იყო. მაშინ სეზონის სტარტისას ვთქვი – მინდა, ლოკომოტივთან ერთად გავხდე ჩემპიონი. არავის არ სჯეროდა. მოვიგეთ ოქროს მედლები და დავამტკიცეთ, რომ გამარჯვება შეგვიძლია. რა თქმა უნდა, გვიჭირს ლიგაზე. ყველა განიცდის, ფიქრობენ როგორ გამოასწორონ სიტუაცია. სწორედ ახლა უნდა იყვნენ გუნდი და გულშემატკივრები ერთიანნი. ერთად ჩვენ აუცილებლად გავართმევთ თავს სირთულეებს.

– გასული სეზონის კიდევ ერთი მიღწევაა, რომ ბიჭი შეგეძინათ, ამასთან – თქვენს დაბადების დღეზე.

– მშვენივრად მახსოვს ის დღე. შეკრებაზე ვიყავით, 2 ვარჯიში იყო დანიშნული. დილის ვარჯიში დასრულდა, სასტუმროში დავბრუნდით და 150 გამოტოვებული ზარი და 200 მესიჯი დამხვდა. ვიცოდი, რომ უნდა დაბადებულიყო, მაგრამ ზუსტი დრო არ ვიცოდი. უცებ წავიკითხე – ბიჭი დაიბადა, ყველაფერი ნორმალურად არის. ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვიყავი. მივედი სიომინთან და ვუთხარი, რომ საღამოს ვარჯიში გადაედო და რესტორანში შევკრებილიყავით. პალიჩმა ერთი ვარჯიში გაგვათავისუფლა და ყველა რესტორანში წავედით.

– ჯერ გოგო, ახლა ბიჭი... შემდეგ?

– როგორც ძველ ბრძნულ გამონათქვამშია, მამაკაცს უნდა ჰყავდეს ბიჭი, ააშენოს სახლი და დარგოს ხე. ბიჭი მყავს, სახლიც მალე მექნება, ხეს ვიშოვი.

– გინდათ, შვილი ფეხბურთს გაჰყვეს?

– რა თქმა უნდა. თუმცა, ყველას არ შეუძლია ფეხბურთის თამაში. როდესაც წამოიზრდება, მოვსინჯავთ. თუ გამოვიდა და ექნება სურვილი, სრულ მხარდაჭერას გამოვუცხადებ. თუ არადა, რატომ ვაწვალო? სხვა არჩევანს გავაკეთებთ. მთავარია, ჯანმრთელი იყოს.

– გოგო არ ეჭვიანობს და არ იბრძვის ყურადღებისთვის?

– შვილები ძალიან მიყვარს, ორივეს ეყოფა.

– მოედანზე ყოველთვის მობილური და კონცენტრირებული ხართ, ცხოვრებაში უფრო მოშვებული. როგორ ახერხებთ გადართვას?

– მხიარული ადამიანი ვარ, მაგრამ კარგი განწყობა მუდმივად არ მაქვს. თუ ბაზაზე ცუდ ხასიათზე მივდივარ, გასახდელში ჩუმად ვარ და თანაგუნდელებიც ხვდებიან ამას. მოედანი სხვა საქმეა, იქ პატარა შეცდომის დაშვებაც არ შეიძლება, მით უფრო, ჩემს პოზიციაზე. ასე რომ, სრული კონცენტრაცია მაქვს გადატანილი.

– თავადაც აიძულებთ ხოლმე თქვენი პოზიციის ფეხბურთელებს, შეცდომები დაუშვან. გასულ სეზონში 3 გოლი გაიტანეთ.

– მთავარია, გუნდმა მოიგოს. სულაც არ არის საშიში, გოლს თუ ვერ გავიტან. ჩემი ამოცანაა, გუნდმა არ გაუშვას, წინ მოიძებნებიან გამტანები. როდესაც მინდორზე გავდივარ, გოლზე არ ვფიქრობ.

– რომელმა თავდამსხმელმა შეგიქმნათ ყველაზე მეტი პრობლემა?

– დიეგო კოშტამ. ძალიან ძლიერია. მაგარია.

– ბეილი ისე საშიში არაა?

– საერთოდ არავისი მეშინია. ვთამაშობ, რათა შევეჯიბრო ასეთ ფორვარდებს. თუ ფეხბურთელს რამის შიში აქვს, სჯობს, მოედანზე არ გავიდეს. რაც უფრო ძლიერია მეტოქე, მომავალში უფრო თავდაჯერებული გახდები. ამიტომ ჩემპიონთა ლიგაზე ყველა ოცნებობს ბეილთან, რონალდოსთან და სხვებთან თამაშს.

– უკანასკნელ ხანს ორჯერ დაგასახელეს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად. ახლა საქართველოში ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი ხართ?

– ჩემზე უფრო პოპულარულებიც არიან. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როდესაც ხალხი მცნობს. საქართველოში უყვართ ფეხბურთი. ჩვენმა ნაკრებმა ორი მატჩი მოიგო და ხალხი ბედნიერია. ლატვიასთან მატჩზე 50.000 ადამიანი მოვიდა! ჩემი კიდევ ერთი ოცნება საქართველოს ნაკრებთან ერთად ევროპირველობაზე გასვლაა. ჩვენ გვესმის, ერთა ლიგა ჩვენი საუკეთესო შანსია და ახლა ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს.

– საქართველოში ფეხბურთი უფრო პოპულარულია თუ რაგბი?

– ამაზე ჯერ კიდევ კამათობენ. ძლიერი კალათბურთის ნაკრებიც გვყავს. რაგბი სპორტის ძალიან პოპულარული სახეობაა. ჩვენი ეროვნული გუნდი მსოფლიოს საუკეთესო ექვსეულშია. მე კი მხოლოდ ფეხბურთი მხიბლავს, 6 წლიდან.

– როგორ შემოვიდა ფეხბურთი თქვენს ცხოვრებაში?

– მამაჩემი მსოფლიოში ფეხბურთის ყველაზე მაგარი ფანია. ყველაფერი იცის და ყველა მატჩს უყურებს. მდიდრულად არ ვცხოვრობდით, მაგრამ სახლში ტელევიზორი გვქონდა. მოდიოდნენ მამაჩემის მეგობრები ჩემპიონთა ლიგისა და საქართველოს ნაკრების თამაშების საყურებლად. 30-40 ადამიანი იკრიბებოდა. ვხედავდი, როგორ ემოციას გამოხატავდნენ. მაშინ დავიწყე ოცნება, რომ ისე მეთამაშა, მამაჩემსა და მის სამეგობროს ეყურებინა ჩემთვის.

– ხშირად გაძლევთ მამა რჩევებს თამაშის გამო?

– ყველა თამაშის მერე მირეკავს და ყველა ეპიზოდს იხსენებს, მეუბნება, სად უკეთესად შემეძლო თამაში. 10-ჯერ ჩემზე მეტად ერკვევა ფეხბურთში, თუმცა სერიოზულ დონეზე არასდროს უთამაშია.

– მშობლები სტადიონზე ხშირად დადიან?

– დედა – იშვიათად, მამა კი მეგობრებთან ერთად ნაკრების ყველა თამაშზეა. დებიც მოდიან თავიანთი ოჯახებით. ლოკოს თამაშებს მამა ტელევიზორში უყურებს მეგობრებთან ერთად. ამ დროს ტელევიზორი ხმამაღლაა ჩართული, რათა დედამაც გაიგონოს ხმა სამზარეულოში. მამაჩემი ძალიან ნერვიულობს ჩემს თამაშებზე. საათ-ნახევარში 2 კოლოფი სიგარეტი არ ჰყოფნის. ჰო, ზენიტთან ოქროს მატჩზე ყველა სტადიონზე იყო...

– ბავშვობაში ვისგან ილებდით მაგალითს?

– ნესტა, მალდინი, კანავარო – იტალიაში ახლა ამ დონის მცველები აღარ არიან. აძურის ადრე სტაბილური და დისციპლინირებული გუნდი ჰყავდა, ძალიან მომწონდა. ბოლო ათწლეულის ყველაზე ძლიერი მცველი კი სერხიო რამოსია.

– ბევრი მეგობარი გყავთ?

– ვერ ვიტყვი, რომ ბევრი მეგობარი მყავს. ნაცნობი ნამდვილად ბევრი მყავს. საერთოდ, პატიოსანი ხალხი მიყვარს, რომლებიც სიმართლეს პირდაპირ ამბობენ. თავადაც ასეთი ვარ.

– მარტო თუ ხართ?

– არ შემიძლია მარტო რესტორანში ჭამა. როდესაც მაგიდასთან ვჯდები, აუცილებლად ვინმე უნდა იყოს. მიყვარს ურთიერთობა, მხიარულება. თუ ვინმე გვერდით მოწყენილია, ყველაფერს გავაკეთებ, რომ განწყობა ავუმაღლო. ასეთი დავიბადე...

– ყველამ იცის, რომ ანეკდოტების მეფე ხართ. მოგვიყევით ბოლო ანეკდოტი.

– ბავშვი 4 წლის გახდა და ვერ ლაპარაკობს. წაიყვანეს ჯადოქართან და ის ეუბნება: საშიში არაფერია, მალე დაიწყებს ლაპარაკს, მაგრამ პირველ 3 სახელს ვისასაც დაასახელებს, გარდაიცვლებიანო. დაბრუნდნენ სახლში. ელოდებიან. ბავშვმა ლაპარაკი დაიწყო. პირველი სიტყვა: ბებია და 3 საათის შემდეგ ბებია მოკვდა. რამდენიმე დღის შემდეგ თქვა: ბაბუა და 3 საათის მერე ბაბუა მოკვდა. ბოლოს ამბობს – მამა... მამა მაშინვე სავარძელზე დაჯდა და ელოდება, როდის გარდაიცვლება. ამ დროს მეუღლე შერბის ოთახში და ეუბნება: ადექი, რას ზიხარ? მეზობელი მოკვდა. და მამამ შვებით ამოისუნთქა...

– ზაფხულში მედიასაშუალებები ლესტერში გაგზავნიდნენ. იყო ასეთი საუბარი?

– ხმები იყო, მაგრამ კონკრეტული არაფერი. თუ ლოკოს დავტოვებ, მხოლოდ ღირსეულ გუნდში გადავალ. დიდი პატივისცემის მიუხედავად, მაგალითად, ლევანტეში გადასვლას აზრი არა აქვს. ლოკომოტივი ყოველთვის თამაშობს ევროტურნირებზე, ახლა რუსეთის ჩემპიონატი ძალიან კარგია. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ სტადიონები სავსეა, სხვა ატმოსფეროა. კლუბთან კონტრაქტი 3 წლის მერე მიმთავრდება. სიომინი ამბობს, რომ ცენტრალური მცველი 28 წლის ასაკში იწყებს თამაშს. მე კი 26 წლის ვარ. სანამ აქ ვარ, ლოკოსთვის ყველაფერს გავაკეთებ.

– რატომ არ უცვლი სხვა ფეხბურთელებს მაისურებს?

– ცოტა უფრო ახალგაზრდა რომ ვიყავი, შევჩენკოს გავუცვალე. მაქვს სამუელ ეტოოს მაისურიც, როდესაც ის ანჟიში თამაშობდა. ვერ გეტყვით, ძალიან უნდოდა თუ არა მას ჩემი მაისური, მაგრამ მე ნამდვილად მინდოდა მისი. ეს ადრე იყო, ახლა ამას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ. სამაგიეროდ, დედა ინახავს ყველა ჩემს სადებიუტო მაისურს სახლში – ზენიტის დუბლები, რუბინი, ლოკო, ნაკრები... არავის აძლევს, არც მე...

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ორი ქართველი გარდიანის ტალანტებში

ბრიტანულმა გამოცემა გარდიანმა 2001 წელს დაბადებული საუკეთესო 60 ტალანტი შეარჩია. სასიხარულოა, რომ მათ შორის 2 ქართველი ფეხბურთელი მოხვდა – ზურიკო დავითაშვილი და ხვიჩა კვარაცხელია.

გთავაზობთ გარდიანის შეფასებებს:

ზურიკო დავითაშვილი

დაიბადა: 2001 წლის 15 თებერვალი

კლუბი: ლოკომოტივი, პოზიცია: შემტევი ნახევარმცველი

როცა სტუმრად 4 გოლი გაგაქვს, აუცილებლად შეგამჩნევენ, მით უმეტეს, როცა ამას საერთაშორისო დონეზე აკეთებ და ამპლუით ნახევარმცველი ხარ. ზურიკო დავითაშვილმა ეს მაკედონიაში 17-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში გააკეთა. ევრო 2018-ის საკვალიფიკაციო ტურნირში მან 6 მატჩში 7 გოლი გაიტანა. ის სრულყოფილი შემტევი ნახევარმცველია, რომელიც ხშირად „ათიანზე“ თამაშობს. დავითაშვილი ტექნიკურად ბრწყინვალეა, ყოველთვის უშიშრად მიდის მეტოქის მცველებზე, უყვარს შორიდან დარტყმები, მოედანს დიდებულად ხედავს, რაც მას საშუალებას აძლევს, აკეთოს ჭკვიანური, გამჭოლი პასები. იმის მიუხედავად, რომ 17 წლისაა და გუნდში ყველაზე ახალგაზრდაა, მას თვითრწმენა არ დაეწუნება. დავითაშვილი ხშირად ასრულებს სტანდარტულებს ლოკომოტივში. მისით უკვე დაინტერესდნენ რუსული ფეხბურთის გრანდები, თუმცა ჯერჯერობით საზღვარგარეთ წასვლას არ ჩქარობს და პროგრესის მიღწევას ლოკომოტივის შემადგენლობაში ცდილობს.

ხვიჩა კვარაცხელია

დაიბადა: 2001 წლის 12 თებერვალი

კლუბი: რუსთავი, პოზიცია: ნახევარმცველი, ვინგერი

საქართველო წარსულში ცნობილია მაღალი კლასის შემტევებით, თუმცა ბოლო დროს მათი ნაკლებობა შეინიშნებოდა. კვარაცხელია უახლოეს წლებში საქართველოს ფანების ერთ-ერთი ფავორიტი მოთამაშე გახდება. ის ტექნიკურად სრულყოფილია, როგორც ბევრი ახალგაზრდა ქართველი, მაგრამ სხვა უპირატესობებიც გააჩნია. თბილისის დინამოს აკადემიის აღზრდილი ფიზიკურად ძლიერია, უყვარს აჩქარება და ყოველთვის გამოუცნობია ერთერთზე დუელისას. კვარაცხელია ორივე ფეხით კარგად თამაშობს. ის ჯერ არავისთვის შეუდარებიათ, თუმცა, ერთი შეხედვით, იულიან დრაქსლერი, იულიან ბრანდტი და ლეროი სანე გვახსენდება. მას პროფესიულ ფეხბურთში 16 წლის ასაკში ჰქონდა დებიუტი. 17-წლამდელთა ნაკრებში კარგი თამაშით მან ისეთი გუნდის დაინტერესება გამოიწვია, როგორიც მიუნხენის ბაიერნია. ასევე მისით დაინტერესდა მოსკოვის ლოკომოტივი და სერია ა-ს რამდენიმე კლუბი.

დავამატებთ, რომ გარდიანის სიაში არიან სანტოსის ბრაზილიელი როდრიგო, ლილიან ტურამის ვაჟი ხეფრენ ტურამ-ულიენი და სხვები. 60-კაციან სიაში ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჰყავს საფრანგეთს – 5, სიაში 4 ესპანელია, 3-3 ბრაზილიელი, გერმანელი და იტალიელი. ჩვენსავით 2-2 წარმომადგენელი ჰყავთ არგენტინელებს, ხორვატებს, ინგლისელებს, ჰოლანდიელებს, თურქებსა და ურუგვაელებს.

ბრიტანული გამოცემა ტალანტების 60-კაციან სიებს 2014 წლიდან მოყოლებული აქვეყნებს. ეს პირველი შემთხვევაა, როცა გარდიანის რჩეულებში ქართველი ფეხბურთელებიც მოხვდნენ.

ზვიგენმა მეთევზე კინაღამ უხელოდ დატოვა

დიდ ბარიერულ რიფზე ზვიგენმა უკბინა ავსტრალიელ მეთევზეს, რომელმაც ის დაიჭირა.

ნავში მყოფი 55 წლის მამაკაცის ანკესზე მსხვილი მარჯნის ზვიგენი წამოეგო. როდესაც ის მის წყლიდან ამოყვანას ცდილობდა, მტაცებელი თევზი მას მარჯვენა ხელში კბილებით ჩააფრინდა. ამის შედეგად მამაკაცმა სერიოზული ჭრილობა მიიღო.

მეთევზე რადიოთი დაუკავშირდა ექსტრემალურ სამსახურს და მომხდარის შესახებ აცნობა. ავსტრალიამდე დაშავებული ხელით მისაღწევად მას 12 საათზე მეტი დრო დასჭირდა.

ნავმა კვინსლენდის შტატის ქალაქ იეპუნამდე მიაღწია. ნავმისადგომზე მეთევზეს სასწრაფო დახმარების მანქანა ელოდებოდა. მას პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად ტრავმის სიმძიმისა, მამაკაცი მაინც მხიარულ განწყობაზე იმყოფებოდა.

მოხუცმა ქალმა მეუღლის სიკვდილის შემდეგ სხეული სვირინგებით მოიხატა

მოხუცმა ბრიტანელმა ქალბატონმა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც მის გატაცებას არ მიესალმებოდა, სხეულზე 16 სვირინგი გაიკეთა.

პირველად გლენის კუპმა რამდენიმე სვირინგი ჯერ კიდევ 1960-იან წლებში გაიკეთა. თუმცა შემდეგ მოიშორა, ვინაიდან მის მეუღლეს უოლტერს სვირინგები არ მოსწონდა. 2014 წელს მის გარდაცვალების შემდეგ კი კუპი ძველ გატაცებას მიუბრუნდა. ახლა მას ხელებზე, მკერდსა და ზურგზე ფერადი ნახატები აქვს გაკეთებული. ქალის თქმით, სვირინგების გაკეთება მწუხარების დაძლევის იმედით დაიწყო. მას მკერდზე გაკეთებული აქვს გულის ფორმის სვირინგი, რომელშიც მეუღლის, რომლის გვერდითაც 54 წელი გაატარა, სახელია ჩაწერილი.

მოხუცი ქალბატონი სვირინგისთვის ფულს პენსიიდან ინახავს, შემდეგ კი სვირინგების სალონში მიდის. 77 წლის კუპმა სულ საკუთარ გატაცებაზე ორი ათასი ფუნტი სტერლინგი დახარჯა.

ასტროპროგნოზი

13 ოქტომბრისათვის

ვერძი – თითქოს დაბნეული ხართ და ემოციებს ჰყვებით, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მობილიზებას ახერხებთ. **კურო** – მართებული გადაწყვეტილების მიღებაში მეგობრები გეხმარებიან. მშვენიერი პერიოდი გაქვთ მატერიალური კუთხით. **ტყუპები** – მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. ნუ აჩქარდებით, მშვიდად და დაფიქრებით იმოქმედეთ. **კირჩხიბი** – მოვლენები არ გააზვიადოთ. კომპრომისზე წასვლა დღეს გამართლებულია. **ლომი** – დათმობა, მიმტევებლობა თქვენვე წაგადგებათ. ერიდეთ ქალაქგარეთ გასვლას. **ქალწული** – ყურადღებას ნუ მიაქცევთ ყურმოკრულ ამბებს. მიღებულ ინფორმაციას თვალდახუჭული არ ენდოთ. **სასწორი** – ცოდნის არეალის გასაფართოებლად შესაფერისი დღეა. გაეცანით ახალ ამბებს, ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი. **ღრიანკალი** – დრო სწორად გაანაწილეთ. დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. ავანტიურაში ნუ ჩაერთვებით. **მშვილდოსანი** – მიზანს მიაღწევთ, თუ რაციონალურად იმოქმედებთ. ოჯახში სიმშვიდე სუფევს. **თხის რქა** – ანგარიში გაუწიეთ გარშემომყოფთა ინტერესებს. ეგოიზმი დათრგუნეთ. ისწავლეთ საჭირო დროს გაჩუმება. **მერწყული** – ვიღაცა კატათაგვობანას გეთამაშებათ. იოლად არავის მიენდოთ. პროვოკაციებს ნუ წამოეგებით. **თევზები** – ფსიქოემოციურ მდგომარეობას ფიზიკური მუშაობა გამოგიკეთებთ. ასევე წაგადგებათ შინაურ ცხოველებთან და ბავშვებთან ურთიერთობა.

14 ოქტომბრისათვის

ვერძი – კრიტიკული დღეა. ბიზნესკონტაქტები არ გაამართლებს. ერიდეთ საქმის გარჩევებს. **კურო** – მაქსიმალურად იაქტიურეთ. არცერთი საქმე შუა გზაზე არ მიატოვოთ, განსაკუთრებით – დღის პირველ ნახევარში. **ტყუპები** – მოტყუების ალბათობა საკმაოდ მაღალია, ამიტომ დაივიწყეთ მიამიტობა და იოლად არავის მიენდოთ. **კირჩხიბი** – იზრუნეთ ოჯახის წევრებზე, მაგრამ საკუთარ თავსაც ნუ უგულებელყოფთ. საღამოს უთუოდ დაისვენეთ და ენერგია აღიდგინეთ. **ლომი** – სულიერ დისკომფორტს განიცდით. მძიმე წუთებში დახმარების ხელს მეგობრები გამოგიწვდიან. **ქალწული** – რთული დღეა. საკუთარი აზრის გამოხატვისაგან თავი შეიკავეთ და ემოციებს ნუ აჰყვებით. **სასწორი** – იფრთხილეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობისას. ნუ იქნებით ზედმეტად გულახდილი. **ღრიანკალი** – კარიერული წინსვლის თვალსაზრისით ძალზე შესაფერისი დღეა. შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობის გრძნობა ამაში ძალზე დაგეხმარებათ. **მშვილდოსანი** – შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. ეცადეთ, აიმაღლოთ კვალიფიკაცია, სრულყოთ პროფესიონალიზმი, რაც აუცილებლად სათანადოდ დაგიფასდებათ. **თხის რქა** – ებრძოლეთ ცდუნებასა და ამბიციებს. ოჯახში უთანხმოება იჩენს თავს. **მერწყული** – შორსმიმავალ გეგმებს ნუ დასახავთ. დღევანდელი კვერცხი გერჩიოთ ხვალინდელ ქათამს. **თევზები** – უამრავი საქმე გაქვთ. პრიორიტეტების მიხედვით იმოქმედეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

გოგონამ მშობლებისგან ფულის გამოძალვის ორიგინალურ ხერხს მიაგნო



დიდ ბრიტანეთში სკოლის მოსწავლე გოგონა საჯარიმო ქვითრებს აყალბებდა იმისთვის, რომ მშობლებისგან უფრო მეტი ჯიბის ფული დარჩენოდა.

ლანკაშირის საგრაფოს მკვიდრმა ელისაბედ კეი-დევინმა პირველად საჯარიმო სიჩქარის გადაჭარბებისთვის მისული ქვითარი ექვსი წლის ასაკში გადაიკეთა. მან მამას გაუგზავნა ქვითარი დარღვევის ადგილის, ავტომობილის ნომრისა და როსენდეილის რაიონის ლოგოტიპის მითითებით. გოგონას დედინაცვალმა, 43 წლის ჰელენ ბოარდმენმა აღიარა, რომ კინაღამ დაიჯერა საჯარიმო უწყების ნამდვილობა: მას მხოლოდ საგადასახადო რეკვიზიტები აკლდა.

მოგვიანებით გოგონამ აღიარა, რომ მას ეს იდეა მას შემდეგ დაებადა, როდესაც მსგავსი ქვითარი მამის სამსახურში ერთ-ერთი მძღოლის მაგიდაზე ნახა. ასაკის მატებასთან ერთად, მას მსგავსი მცდელობები არ შეუწყვეტია. ამჟამად კეი-დევინი 11 წლისაა, და ახლახან მან მშობლებს კიდევ ერთი საჯარიმო შეტყობინება გაუგზავნა, ამჯერად ბლექბერნ-უიტდარუენის უნიტარული საბჭოს ერთეულის სახელით. მასში გოგონას მამას აფრთხილებენ, რომ თუ ის 100 ფუნტ სტერლინგს 10 დღის განმავლობაში არ გადაიხდის, მაშინ ჯარიმის ოდენობა 50 ფუნტით გაიზრდება.

გოგონას მამა და დედინაცვალი მცირე კომპანიის მფლობელები არიან, რომელიც საოფისე ავეჯის გაყიდვითაა დაკავებული. ზოგჯერ კეი-დევინი მამასთან მიდის სამსახურში. სწორედ იქ ადგენს კომპიუტერზე ყალბ ქვითრებს და შემდეგ მათ კორპორატიულ საფოსტო ყუთში აგდებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. ბადრიჯნით, პამიდვრით მომზადებული ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი; 2. ბრიტანული არაყი; 3. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 4. რაიმე ნაკეთობის შემცირებული ზომის ნიმუში, მოდელი; 6. შებოლილი ძეხვის ერთ-ერთი სახეობა; 9. უელსის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 11. ლუდხანის ოფიციანტი გერმანიაში; 15. აჭარული ცეკვა; 16. ვაშლის ქართული ჯიში; 17. წითელი ფერის ქართული სამარკო ღვინო; 19. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 21. ზამბარიანი ხელის სასწორი; 22. თამაში-გამოცანა.

თარაზულად: 5. ხევსურული ტანსაცმელი; 7. მდინარე ამსტერდამში; 8. თვალის კაკლის გარეთა თეთრი გარსი; 10. ეგვიპტის ძველი დედაქალაქი; 12. უნგრული ღვინო; 13. ლათინური ანბანის ბოლო ასო; 14. წმინდა ადგილების მოსალოცად მიმავალი მორწმუნე; 18. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 20. სამურაების მეთაური; 23. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 24. კოღოს ძველი ქართული სახელწოდება; 25. დესერტი, ტკბილეული; 20. კარატისტის ოსტატობის ხარისხის მაჩვენებელი; 27. მონასტერი დუშეთის რაიონში.

შეადგინა თ.ვოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. „ტიფანი“; 2. ლაზიკა; 3. რისკი; 4. ბარი; 6. ჩაფარი; 8. პიარნუ; 11. პეტრიწონი; 13. დიაფანი; 14. რენუარი; 15. ჩარხილი; 19. „გოია“.

თარაზულად: 1. ტრაფალგარი; 4. დამბაჩა; 7. ფსიქოზი; 9. „კალიარი“; 10. „ოპეკი“; 12. აერობუსი; 16. ფუფუნება; 17. ტარიელი; 18. ცუგცვანგი; 20. ნექტარი; 21. ბიტი; 23. მირზაანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ვეძისი; 2. კამიუ; 3. ენისეი; 4. ვეტელი; 6. ალბიონი; 9. ბურდა; 11. ბენიასა; 15. რეზიდენტი; 16. ჟიგოლო; 17. ნატამალი; 19. არაქისი; 21. რეგენტი; 22. დელიბი.

თარაზულად: 5. ჰელვეცია; 7. „ლიპტონი“; 8. ატლასი; 10. ბულბული; 12. ლოიდი; 13. ეკერი; 14. ანდერსენი; 18. არიბა; 20. სირაჯი; 23. ბერდია; 24. გემა; 25. მალამო; 26. ბატე; 27. ატამანი.

თამარ ედილაშვილი საბავშვო ევროვიზიაზე სოფო ტოროშელიძის სიმღერას იმღერებს

საბავშვო ევროვიზიაზე საქართველოს წარმომადგენელი თამარ ედილაშვილი სოფო ტოროშელიძის სიმღერას იმღერებს.

„შენი ხმა“ – ასე ეწოდება სიმღერას, რომელიც ორენოვანია და მას მომღერალი ქართულად და ინგლისურად ასრულებს.

სიმღერაზე ვიდეორგოლი უკვე გადაღებულია და ინტერნეტში ტრიალებს. ენერგიულ სიმღერას ათასობით ნახვა და მოწონება აქვს.

სოფო ტოროშელიძე:

– საბავშვო ევროვიზიის ქართველი წარმომადგენელი თამარ ედილაშვილი კონკურსზე ჩემს სიმღერას წარადგენს. დიდი გზა გამოიარა ამ სიმღერამ. გაიმარჯვა 22 საუკეთესო კომპოზიტორს შორის და თვითონ არ მჯერა, რომ ნამდვილად მოვიდა ეს დღე, როდესაც საჯარო გახდა. თამარ, ყველაზე დიდი წარმატება, ჩემო ბრილიანტო! დარწმუნებული ვარ, რომ ნებისმიერ დავალებას გაართმევ თავს და ვიამაყებთ შენით!

სერგო ფარაჯანოვის „ბროწეულის ფერს“ ლონდონში აჩვენებენ

ცნობილი კინორეჟისორის სერგო ფარაჯანოვის ერთ-ერთ შედევრს „ბროწეულის ფერს“ ლონდონში აჩვენებენ.

29 ნოემბერს ლონდონში აზიის სახლში კინორეჟისორისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართება. ნაჩვენები იქნება მისი ერთ-ერთი შედევრი „ბროწეულის ფერი“. ეს ფილმი თავდაპირველად გამოვიდა სახელით „საიათ-ნოვა“, სადაც მთავარ როლს სოფიკო ჭიაურელი ასრულებს. კინოფილმს მსოფლიოში აღიარებულმა რეჟისორებმა ფედერიკო ფელინიმ, ჟან-ლიუკ გოდარმა და მიქელანჯელო ანტონიონიმ კინოს შედევრი უწოდეს.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა მთავრობამ ფილმის ჩვენება აკრძალა, ხოლო სერგო ფარაჯანოვი 1973 წელს შრომა-გასწორების კოლონიაში გადაასახლა.

„ბროწეულის ფერი“ XX საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევრად არის აღიარებული.

ანა ურუშაძე ევროპული კინოაკადემიის რჩეულ რეჟისორთა ექვსეულში მოხვდა

ევროპულმა კინოაკადემიამ ის 6 დებიუტანტი რეჟისორი დაასახელა, რომლებმაც საუკეთესო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმები გადაიღეს.

6-კაციანმა კომიტეტმა 3500 კანდიდატს შორის საუკეთესო ფილმები შეარჩია. მათ შორისაა ანა ურუშაძის „საშიში დედა“, რომელიც საუკეთესო ექვსეულში შევიდა.

ანა ურუშაძის „საშიში დედა“ უკვე არაერთი პრესტიჟული კინოფესტივალის გამარჯვებულია. აგვისტოში მისი ფილმი ფიპრესის კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის 12 რჩეულ ევროპულ ფილმებს შორის დასახელდა, ივნისის დასაწყისში კი ანა ურუშაძე 10 რჩეულ ევროპელ ქალ რეჟისორთა სიაში შეიყვანეს.

„საშიში დედა“ უკვე 20-ზე მეტი ჯილდოს მფლობელია. რეჟისორის მიერ გადაღებული ფილმი საქართველომ შარშან საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში ოსკარზეც წარადგინა, თუმცა ანა ურუშაძის ნამუშევარი მოკლე ნუსხაშიც ვერ მოხვდა.

„საშიში დედა“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. ის საქართველოსა და ესტონეთის ერთობლივი პროდუქციაა. ანა ურუშაძის ფილმში მთავარ როლებს ნატა მურვანიძე და დიმიტრი ტატიშვილი ასრულებენ. მასში აღწერილია თანამედროვე ცხოვრების ფონზე ქალის რთული და შინაგანი თუ სოციალური პრობლემებით დაძაბული ყოველდღიურობა. მთავარი გმირის როლს უზადოდ განასახიერებს ნატო მურვანიძე. მხატვრული ფილმი 50 წლის ქალის, მანანას, ცხოვრებას ასახავს. დედა და დიასახლისი დილემის წინაშე დგას. მას უწევს, არჩევანი გააკეთოს ოჯახურ ცხოვრებასა და მთავარ გატაცებას, წერას შორის. მანანა ცხოვრების აზრს წერაში პოულობს.

ევროპული კინოაკადემია გამარჯვებულს პრიზით 15 დეკემბერს სევილიაში დააჯილდოებს.

ქართული სპექტაკლი „პარადისო“ მსოფლიოს საუკეთესო სპექტაკლების სიაშია

ქართულმა თოჯინების თეატრმა „ჩვენი თეატრი“ ედინბურგის ფრინჯ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა რეჟისორ ირაკლი ხოშტარიას სპექტაკლით „პარადისო“.

„ფრინჯს“ თეატრის კრიტიკოსები კრეატიული თავისუფლების მხრივ მსოფლიოში ყველაზე დიდ პლატფორმას უწოდებენ და მასში მონაწილეობა თავისთავად უკვე დიდი წარმატებაა.

„ჩვენი თეატრი“ სპექტაკლს ყოველდღე თამაშობდა „ფრინჯის“ ერთ-ერთ თეატრში, რომელიც ქალაქ ედინბურგის ძველ ნაწილში მდებარეობს. გარდა რიგითი მაყურებლისა, სპექტაკლებს თეატრის კრიტიკოსებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც „პარადისოს“ საკმაოდ მაღალი შეფასება მისცეს: „პერსონაჟები უნიკალური და განსაკუთრებით კარგად განვითარებული ხასიათით გამოირჩევიან“, – აღნიშნულია „ფრინჯის“ ოფიციალურ შეფასებაში, ხოლო გაზეთმა „ინდეპენდენტმა“ სპექტაკლი „პარადისო“ წელს „ფრინჯზე“ წარმოდგენილი 3548 შოუდან 50 საუკეთესოთა სიაში შეიყვანა.

თაკო ჩარკვიანი და ნანა ლორთქიფანიძე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

რუსთაველის თეატრის მსახიობი ნანა ლორთქიფანიძე და პუბლიცისტი თაკო ჩარკვიანი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ამის მიზეზი თაკო ჩარკვიანის განცხადება გახდა, რომ რუსთაველის თეატრში სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერად ლაგამამოდებული საზოგადოება შეიკრიბა.

ნანა ლორთქიფანიძე:

– ლაგამამოდებული ხალხი ვყოფილვართ რუსთაველის თეატრში სალომე ზურაბაშვილთან შეხვედრაზე, თან ფულიც გადაგვიხადეს. თაკო ჩარკვიანი ვის უბედავს ასეთ ლაპარაკს, ეს უზრდელი, მართლა ნაციონალებისგან ლაგამამოდებული და ნაყიდი გოიმი, წყობიდან გამოსული და გაბრაზებული. მინისტრად არ დანიშნა ოცნებამ. ძალიან არ მინდოდა ამ თემასთან შეხება ბევრი მიზეზის გამო.

თაკო ჩარკვიანი:

– ნანა ლორთქიფანიძემ, გიგას შვილმა დამიწერა: „რას ჰქვია ლაგამამოდებული, რატომ თქვი, არ ვართო“, თან მრავლობითში ანუ მე არ ვარო, არადა, მე თავად ნანაც თუ იყო იმ ინტელიგენციის შეხვედრაზე „მისულ-მიწვეული“, არ ვიცოდი და ვერ წარმომედგინა, რადგან მესმის, რომ ყველაფერი გაუფასურდა, მათ შორის სიტყვა ინტელიგენტიც, მაგრამ, მაინც ასე მთლად ფსკერზე? რა ვიცი, აბა?!?ისე მინდა, ვუთხრა მას, რომ იქ ზოგიერთი კარგი ხალხიც იყო მისული, ვისზეც ვღელავ და გული დამწყდა, რადგან ზოგიერთს, მცირე გამონაკლისს, პატივს ვცემ. შენ მათ შორის ვერ იქნებოდი და არ მიგულისხმიხარ, გეთაყვა, მერწმუნე. მე იმ ზოგიერთს პატივს ვცემ და შენ მათ შორის ვერ იქნებოდი ვერაფრით. საიდან ეს მოლოდინი, ძვირფასო, რის საფუძველზე?!

ნანა ლორთქიფანიძე:

– თაკო, ძვირფასო, მარტო საკუთარ თავს არ ვგულისხმობდი, ეს ერთი და მეორე, ღმერთმა დამიფაროს მეც და ის ხალხიც, ვისაც გვგულისხმობდი, შენთვის პატივსაცემი ადამიანების სიაში მოვხვდეთ, ვისაც შენ პატივს სცემ. შენთვის პატივსაცემ და სათაყვანებელ ადამიანებს ვხედავთ და ნამდვილად არავის გვინდა მაგ სიაში მოხვედრა, „ძვირფასო“.

ჟანრი ლოლაშვილი 200-მდე ნამუშევარს გამოფენს

რუსთაველის თეატრის მსახიობი ჟანრი ლოლაშვილი წლებია, მხატვრობით არის გატაცებული. მისი ნამუშევრები დამთვალიერებელში დიდი მოწონებით სარგებლობს და სოლიდურ ფასებშიც იყიდება.

15 ოქტომბერს ჟანრი ლოლაშვილი ნამუშევრების მორიგ გამოფენას მოაწყობს და „აბრეშუმის გალერეაში“ 200-მდე ნახატს დამთვალიერებლის სამსჯავროზე გამოიტანს.

სილნაღის ისტორიული გალავნის დამახინჯებისთვის კომპანია დაჯარიმდა

სილნაღის ისტორიული გალავნის კარიბჭის იერსახის ხელყოფისთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 88-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სილნაღის მუნიციპალიტეტის მერიასა და ძეგლზე ფიზიკური სამუშაოების განმახორციელებელ კომპანია „ინსტალ +“-ს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ 12000-12000 ლარის ოდენობის ადმინისტრაციული ჯარიმა განუსაზღვრა.

თვითმმართველი უწყების დაჯარიმების საფუძველი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამშენებლო პროექტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან შეუთანხმებლად წარმართვა გახდა, რაც მოქმედი კანონმდებლობის უხეშ დარღვევას წარმოადგენს. შპს „ინსტალ +“-თვის დაკისრებული ჯარიმა კი სამშენებლო პროექტიდან გადაცდომამ განსაზღვრა, რომლის მიხედვით, კომპანიის თანამშრომლებმა თვითნებურად დააზიანეს გალავნის სხვა პროექტით გათვალისწინებელი სეგმენტები.

სააგენტოს გადაწყვეტილებით, ეროვნული კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სარესტავრაციოდ სილნაღის მუნიციპალიტეტის მერიას 6-თვიანი ვადა მიეცემა. ამ დროის განმავლობაში ადგილობრივმა თვითმმართველობამ ძეგლისთვის კონტრაქტორი კომპანიის მიერ მიყენებული ყველა იმ ხარვეზის აღმოფხვრა უნდა უზრუნველყოს, რაც ისტორიული გალავნის მოცემულ მონაკვეთს სამშენებლო სამუშაოების შედეგად მიადგა.

სილნაღის მუნიციპალიტეტის მერიამ ასევე უნდა უზრუნველყოს სარეაბილიტაციო პროექტის მომზადება, რომელიც ძეგლის რესტავრაციის მეთოდოლოგიის განსასაზღვრად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საბჭოსთან და დარგის სპეციალისტებთან შეთანხმდება. პროექტის შემუშავებამდე და სააგენტოსთან შეთანხმებამდე სილნაღის ისტორიულ გალავანზე დაწყებული ყველა სამშენებლო სამუშაო შეჩერდება.

ძეგლის სამომავლო რესტავრაციის ეტაპი კი სააგენტოს ზედამხედველობის ქვეშ წარიმართება. პარალელურად, სააგენტოს რესტავრატორების მიერ მოკლე დროშივე განისაზღვრება კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის დაზიანების ხარისხი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

„მოკვდავთა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა აფხაზეთის დევნილთა საზოგადოებაში აფხაზეთის ომის გმირის, საბჭოთა პერიოდში ავღანეთის სასაკლაოს სასწაულებრივ გადარჩენილის, პირველი ჯგუფის ინვალიდის (მარჯვენა ფეხი აფხაზეთში დაკარგა), ფეხბურთსა და მშვილდოსნობაში ევროპასა და ამერიკაში მრავალგზის პრიზიორის, კოლხური ადათ-წესებისა და ნათესაურ-მეგობრული ღირებულებების დიდი ქომაგის, ერისა და ქვეყნის დიდი პატრიოტის, მამაცი, ნაღდი ვაჟკაცის, ბატონი

გოდერძი შოთას ძე ზაქარაიას

მოულოდნელი, ტრაგიკული გარდაცვალება.

ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებითა და ცხოვრების ულამაზესი წესით ის უფრო ზეციური არსება იყო, ვიდრე მიწიერი. მისი ლეგენდარული მიღწევები სპორტში დასტურია ზეადამიანური ენერგიისა და ძალისხმევისა.

მის არაორდინარულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ხელისუფლებისაგან „გორგასლის“ მეორე ხარისხის ორდენი არ მიიღო: – საკუთარ ძმებთან და ისიც წაგებულ ომზე ორდენს არ ატარებენო, ძმების ომში გამარჯვებული არ არსებობსო.

საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ სამძიმრის წერილში მისი ჭირისუფლებისადმი აღნიშნა, რომ გოდერძის აქ გარდაცვალება დასაწყისია მისი უკვდავი სულის მარადიული სიცოცხლისა და ჩვენი ვალია, ვილოცოთ მისი სულის უკვდავსაყოფად.

„თუ სიბნელე არ გინახავს, ფასს ვერ დასდებ სინათლესა“ – დიახ, რა მასშტაბის უშრეტი სიცოცხლე ჰქონდა მას, მაშინ მივხვდით, როდესაც ამაზრზენი სიკვდილი დაგვიდგა მისი. ტარიელ ჩანქსელიანი ამბობდა:

„სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს, მეხის გავარდნას ჰგავდეს სიკვდილი!“. აი, ეს ესადაგება მის ბობოქარ ცხოვრებას.

ნათელში იყოს მისი უკვდავი სული, ამინ!

ოჯახის, უახლოესი ნათესავებისა და მეგობრების სახელით, რაჟდენ ქარდავა

მეუღლე თინა (ხათუნა) ბარამიძე, შვილები მარიამ, შალვა ჭეიშვილები, სიძე ალეკო ალადაშვილი, შვილიშვილები ანა, ნანა, ელენე ალადაშვილები, ცოლისდა ქეთევან ბარამიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნოდარ შალვას ძე ჭეიშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი: 12, 13 ოქტომბერს, 17 საათზე, ს.ჩიქოვანის ქუჩა №16.

გამოსვენება: 14 ოქტომბერს, 14 საათზე, საბურთალოს ამაღლების სახელობის ეკლესიიდან.

დაკრძალვა: იქვე, საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

---

87 წლის ასაკში გამოაკლდა ჩვენს ქალაქს საინჟინრო საზოგადოების ღვაწლმოსილი მუშაკი, პლასტმასის ქარხნის, შამპანურის კომბინატისა და თელასის ყოფილი მთავარი ინჟინერი, ელექტრობის დარგის დიდი სპეციალისტი და გამომგონებელი

ნოდარ შალვას ძე ჭეიშვილი

გარდაიცვალა ჩვენი ბავშვობის, სიყრმისა და კაცობის მეგობარი, ჩვენი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი.

დიდი მწუხარებით თანავუგრძნობთ მის ოჯახს **ალეკო ხუნდაძის, რეზო ჭკუასელის, ავთო რამიშვილის, არჩილ მელუას, თენგიზ ლანდიას, მიშა სავიცკის, მიშა მირიანაშვილისა და აწ გარდაცვლილი რეზო ბილიხოძის, ოთარ ბოსტოღანაშვილის, ნოდარ გავაშელის, კოკა გეგეჭკორის, ლევან გველესიანის, ნოდარ ნადირაშვილის, გიზო გოგიტიძის, მერაბ ლანდიას, გელა ლოსაბერიძის, ნოდარ მონიავას, გივი ფავლენიშვილის, ირაკლი ყანდარელის, გურამ მებუკის ოჯახები.**

უდიდესი გულისტკივილით გემშვიდობებით, ჩვენო ნოდარ!

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სული!

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 ოქტომბრისთვის

აშშ დოლარი — 2.6262

ევრო — 3.0199

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4556

100 რუსული რუბლი — 3.9951

ამინდის პროგნოზი 13 ოქტომბრისთვის

ტიაგო ალკანტარამ რეალს უარი უთხრა



მიუნხენის ბაიერნის ნახევარმცველმა ტიაგო ალკანტარამ განაცხადა, რომ მას შეეძლო მადრიდის რეალში გადასვლა, მაგრამ სამეფო გუნდი უარით გაისტუმრა.

ალკანტარას თქმით, რეალში გადასვლა ბარსელონის ღალატი იქნებოდა:

– მე ბარსელონის აკადემიაში გავიზარდე და ეს არასოდეს დამავიწყდება. ვიცი, როგორი ურთიერთობა აქვთ რეალსა და ბარსელონას, ამიტომ რეალში არასოდეს ვითამაშებ და ამ გუნდს ყოველთვის უარით გავისტუმრებ.

ალკანტარას ძმა რაფინია ასევე ბარსელონის აღზრდილია და ის ამჟამად კატალონიური გუნდის ღირსებას იცავს.

აზარი: „იანვარში არსად წავალ“

ჩელსის ლიდერმა ედენ აზარმა განაცხადა, რომ იანვარში ის არ აპირებს გუნდის შეცვლას და სეზონის ბოლომდე ჩელსიში დარჩება. ამის შემდეგ კი ყველაფერი შესაძლებელია.

– ნამდვილად ვიცი, რომ იანვარში არსად წავალ, მაგრამ, რა მოხდება ზაფხულში, არავინ უწყის. ჩელსიში ბედნიერი ვარ, მაგრამ სხვა გუნდების ვარიანტს არ გამოვრიცხავ, – განაცხადა აზარმა.

ედენ აზარის სახელს ყველაზე მეტად მადრიდის რეალს უკავშირებენ, რადგან ერთ-ერთ ინტერვიუში აზარმა აღიარა, რომ რეალი მისი ოცნების გუნდია.

ტიერი ანრი ოფიციალურად მონაკოს მწვრთნელი გახდა

მონაკოს ახალი მთავარი მწვრთნელი ტიერი ანრი იქნება. ანრი მონაკოში მუშაობას დათანხმდა და ორშაბათიდან ის ოფიციალურად შეუდგება საქმიანობას.

მონაკომ წლევანდელ სეზონში ძალიან ცუდი სტარტი აიღო და ამის გამო ლეონარდო ჟარდიმი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

ჟარდიმს კომპენსაციის სახით მონაკომ 7 მილიონი ევრო გადაუხადა. რაც შეეხება ანრის, მისთვის მთავარი მწვრთნელის რანგში მონაკო პირველი გუნდი იქნება.

დორტმუნდის ბორუსიას პაკო ალკასერის გამოსყიდვა სურს

დორტმუნდის ბორუსია ესპანელი ფორვარდის პაკო ალკასერის გამოსყიდვას აპირებს, რომელიც ამჟამად დორტმუნდში იჯარის წესით თამაშობს.

ბორუსიაში პაკომ უკვე 6 გოლის გატანა შეძლო და ამ გუნდის შეფებმა გადაწყვიტეს, რომ ალკასერთან 5-წლიანი კონტრაქტი უნდა გააფორმონ.

პაკოს ტრანსფერი ბორუსიას 25 მილიონი ევრო დაუჯდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ალკასერმა ესპანეთის ნაკრებშიც შეძლო ბოლო თამაშში გოლის გატანა, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ის თავის კარიერაში საუკეთესო ფორმაშია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

სტუმარი მასპინძელს ეკითხება:

– ვინ ყვირის კედლის მიღმა ასეთი საშინელი ხმით შენს მეზობელთან?

– აა, ეს ლამარაა.

– რა, მშობიარობს?

– არა, ფეხმძიმდება.

●●●

შვილი დედას ეკითხება:

– დედიკო, ანგელოზები დაფრინავენ?

– დაფრინავენ, შვილო, დაფრინავენ... და რატომ მეკითხები?

– გუშინ მამამ ჩვენს დამლაგებელს უთხრა: „ჩემთან მოფრინდი, ჩემო ანგელოზო!“

– ხვალ დილით ნამდვილად გაფრინდება!!!

●●●

მებაჟე ჩამოსულ მგზავრს ბარგს უმოწმებს და ეუბნება:

– ასე, პატივცემულო, მოდით, განვსაზღვროთ, რომელია აქ – თქვენი და რომელი ჩემი ნივთები.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– დილაობით დარბიხარ?

– აბა რა! ყვირილით, სად არის ჩემი ნივთები!

●●●

მამაკაცი ტუალეტში შედის. მოლარე ქალი ეუბნება:

– სად მიდიხართ? ვერ ხედავთ, რომ ფასიანია?

– რა ღირს?

– ეგ მის სიგრძეზეა დამოკიდებული... თუ ათსანტიმეტრიანი გაქვთ – 10 თეთრი, თუ ოცსანტიმეტრიანი – 20 თეთრი.

– აჰა, გამომართვით, – ეუბნება მამაკაცი და ღარიანს აწვდის.

– ოჰოო...

– ოჰო კი არა, ხურდა 90 თეთრი დამიბრუნე!

●●●

ცოლი ქმარს მობილურზე ურეკავს:

– გივი, სად ხარ?

– სანადიროდ.

– და მანდ ვისი სუნთქვა ისმის?

– დათვის.

– და რატომ კვნესის?

– დავჭერი.

– და ქალის ხმით რატომ?

– იცი რა! მე მონადირე ვარ, ვეტერინარი კი არა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ჯორჯ ბუშის ქალიშვილი გათხოვდა

აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ქალიშვილი, ბარბარა ბუში, გათხოვდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს. გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ აშშ-ის ყოფილი „პირველი ქალიშვილის“ რჩეული მსახიობი და სცენარისტი კრეიგ კოინი გახდა. საქორწინო ცერემონიალი რამდენიმე დღის წინ გაიმართა. ამერიკული გამოცემის მონაცემებით, ქალიშვილი საკურთხეველთან ჯორჯ ბუშმა-უმცროსმა მიიყვანა. ამ დროს კი ცერემონიალს ჯორჯ ბუში-უფროსი თვალს ადევნებდა ოჯახის საზაფხულო სახლიდან, რომელიც მენის შტატში, კენებანკპორტში მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ ახლად დაქორწინებულები ცხოვრებას ნიუ იორკში აპირებენ.

გუგლი ქმარს ცოლის ღალატის გამოვლენაში დაეხმარა



პერუს დედაქალაქ ლიმას მკვიდრი მამაკაცი ცოლს მას შემდეგ დაშორდა, რაც ის სხვა მამაკაცთან ჩახუტებული Google Maps-ზე აღმოაჩინა.

მარშრუტის შედგენის დროს მამაკაცმა სამგანზომილებიან პანორამაში სკამზე გაწოლილი კაცი შენიშნა, რომელსაც თავი ქალის მუხლებზე ედო. მიუხედავად იმისა, რომ წყვილის სახეები ავტომატურად იყო დაფარული, ქმარმა საკუთარი ცოლი ტანსაცმლით ამოიცნო.

სურათი 2013 წელს ადგილობრივი ღირსშესანიშნაობის „ოხვრის ხიდის“ რაიონშია გადაღებული. „მტკიცებულებით“ ზეწოლის შედეგად ქალმა ღალატი აღიარა და წყვილი ერთმანეთს დაშორდა.

ჯოსვოიდი ১



შვეულად: 1. მნიშვნელოვანი თარიღის საზეიმო აღნიშვნა; 2. მაღალ ტემპერატურაზე გამომწვარი ცეცხლგამძლე აგური; 3. უნგრელი კომპოზიტორი; 5. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი; 6. დარიშხანის საბადო ამბროლაურის რაიონში; 8. ანსამბლ „როლინგ სტოუნზის“ ლიდერი; 11. გონიოს ციხე-სიმაგრის ძველბერძნული სახელწოდება; 13. ქართული ტელეკომპანია; 14. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 15. ქართული სიგარეტი; 19. იაპონური ურითმო ლექსი.

თარაზულად: 1. ქართველი ქველმოქმედი, მეცენატი; 4. წმინდა ოქრო; 7. ერთ-ერთი რელიგია; 9. პროსპერ მერიმეს მოთხრობა; 10. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 12. ლითონისკორპუსიანი ბარომეტრი; 16. ისტორიული ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 17. ირანის დედაქალაქი; 18. მოდულებული ტყემლის მუავე სქელი წვენი; 20. თხევადი ტვირთის გადასაზიდი გემი; 21. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნივთი; 22. მწვერვალი კავკასიონზე.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა